გაზეთი ბოლქვნილა, „ვეფხვნილ“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№57 (1083) 25 - 26 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

125

დაცვის პოლიცია

არა-ჩვეულებრივი ექსკლუზიური ინტერვიუ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან

როგორ მოხვდა „ოცნებაში“, რატომ დაატარებდნენ „კაგებეში“ და რა შემოსავალი აქვს გიორგი აღიბეგაშვილს

გვ. 4–5

მსოფლიოს „ფილტვის ჭირის“ ეპიდემია ემუქრება

როგორი სიმპტომებით იწყება დაავადება და რა ინფორმაცია აქვთ ქართველ ექიმებს გვ. 7

პარლამენტში ბენდუქიძის საბანკო რეფორმის აჩრდილი გამოჩნდა

გვ. 6

სკანდალი, რომელიც გიორგი ქადაგიძის წლიურ ანგარიშს მოჰყვება

დიცო ველოვანი

გვ. 2

ვარჩენ მთავრობას დაქინებული თხოვნით

ის, რაც ცდეზოდა წინა კვირაში

გარდაბნელი ქართველები დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგანან?!

გვ. 8

რა სტრატეგია აქვს და როგორ გეგმავს სახელმწიფო საზღვრისპირა რეგიონებში დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებას

ცრუ ყაჩაღები

„მეშეშე“, 20-დარიანი ყაჩაღობა და 17-წლიანი „სროკი“

გვ. 9

პუტინის დღიური

ვარჩენ მთავრობას დაჟინებული თხოვნით

დიტო გელოვანი

...ის კი, თეთრი ვარდებით ხელში, მამიდა არიადნას სახლისკენ გაეშურა, სადაც ცელქი კონჩეტინას ხათრით, სტუმრები დაეპატიჟებინათ — კონჩეტინაობა დღე იყო. ღამაზ ქალაქში განა ბევრს ერქვა ეს სახელი, როზინაობა დღეს კი თითქმის ყველა ქეიფობდა — ზოგი სად, ზოგი სად... უამრავი როზინა იყო. ახლა კი, კონჩეტინაობა დღეს, მხოლოდ რჩეულნი თუ მოხვდებოდნენ სახელგანთქმული კარრასკოების ჩამომავლებთან, ძველებური ჭურჭლითა და ავეჯით მორთულ სასტუმრო ოთახში, სადაც მამიდა არიადნა უკანასკნელად ამოწმებდა დაპატიჟებულთა სიას იმის შიშით, რომ ვინმე ღირსეული მოქალაქე არ გამორჩენოდა...

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

ნუუუ... ყველა ჩვენი ღირსეული მოქალაქე ნამდვილად იყო დაპატიჟებული კონჩეტინობაზე, თუ როგორც ახლა უწოდებენ — კონჩიტაობაზე. სხვა საქმეა, რომ ყველამ ვერ მოახერხა წასვლა. ზოგს ფული არ ჰქონდა (არც ახლა აქვს), ზოგს არ ჰქონდა ვიზა (არც ახლა აქვს და კარგა ხანს არც ექნება) და ა.შ. იყვნენ (და არიან) ისეთებიც, ფულიც რომ აქვთ, ვიზებსაც რომ ფლობენ და წასვლაც რომ უნდოდათ, მაგრამ ვერ მოიცალეს, რადგან იმდენად მოცლილები არიან, რომ უბრალოდ, აღარ იციან, რისთვის მოიცალონ. ზოგიერთი, თქვენი მონამორჩილის ჩათვლით, რომ მიუსაჯო, კონჩიტაობაზე მაინც არ წავა, რადგან წვერულვაშიანი ქალები ბიუსტჰალტერიანი კაცებისთვის დაგვითმია. და ამიტომაც, ჩვენ არ ვართ ღირსეული მოქალაქეები და, შესაბამისად, ჩვენი ადგილი არ არის იქ, სადაც გაუპარსავი ქალები ევროკაცობრიობის პარსვაში კლავენ დროს.

ჩვენში დარჩეს და, ადამიანის მოკვლა რომ ისჯება, დროის კვლაც დასჯადი უნდა იყოს. ეს, პირველ რიგში, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობას ეხება. აი, მაგათ დავსჯიდი იმის გამო, რომ თბილისი არ იკმარეს და მახათში ერთი რაღაცის გასაყრელად ვენას მიაშურეს. ისე კი, მე რისი დამსჯელი ვარ, ფული მე არ მაქვს და ვიზა. არმაგედონის ზანგს კი არც ერთი სჭირდება და არც მეორე. ჰაერშივე გააბარძგვალებს, სადმე, ბუდაპეშტის თავზე.

გასულ კვირაში თბილისელი ნაცების 30-კაციანი შემადგენლობა ბუდაპეშტში გაფრინდა ინტერპოლის შიშით ევროპაში მიმოფანტულ ნაცებთან შესახვედრად. ეს ისე, უცებ გამახსენდა, სხვათა შორის. სასხვათაშორისოები იქით იყოს, ჩვენში კი ის დარჩეს, რომ ევროვიზიის გამო დღეში რამდენჯერმე ვუსვამდი საკუთარ თავს კითხვას: რა უფრო ცუდია, ევროვიზიაში რომ ვმონაწილეობთ, თუ ვუდსტოკში რომ არ ვმონაწილეობდით? ანუ, როგორც ჰამლეტი იტყოდა — „თუ ბი ორ იუთუბი?“

ეჰ, ვუდსტოკი... ოცდაორი წლის ჯო კოკერი და, შემდეგ, მრავალი წლის შემდეგ, My Fathers Son. აი, ეს, ბოლო, სნორედ ის არის, რაც სააკაშვილს ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია და არც მგონია, რომ დიდად წუხდეს. სამაგიეროდ... „ნინა სუბლატი იყო ძალიან მაგარი, თუმცა საქართველომ მიიღო მხოლოდ 51 ქულა — ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ქულა, რომელიც ოდესმე მიგვიღია ფინალში და პირველად არც ერთი უმაღლესი შეფასება. ეს პირდაპირი შედეგია ქვეყნის საერთო გაბანძების და საერთაშორისო პოზიციების გაუარესებისა. ამ გაუარესების ნეგატიური რეზულტატი კი თითოეულ მოქალაქეს შეეხო ორი დღის წინ რიგაში, როცა უარი გვითხრეს უვიზო მიმოსვლის მოცემაზე. ზუსტად ვიცი, რომ ეს დროებითია და სულ მალე ჩვენს პოზიციებს აღვიდგენთ!“

ორი რამ ხდება პერმანენტულად — დასავლეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სააკაშვილი ადასტურებს, რომ არის ის, რითაც ამ 47 წლისა და რამდენიმე თვის წინ თავად სააკაშვილი გააკეთეს. ჩემი თუ არ გჯერათ, ბოკერიას დაჯგუფებას შეეკითხეთ...

საერთოდ არ შევეხებოდი ვენაში გამართული კვერცხობის თემას, მაგრამ ანგარიშს ვუწევ იმ საზოგადოებას, სადაც ყურცქვიტაშვილს შეუძლია, გადაფაროს ვაზაგაშვილი, ხოლო ვიზალიბერალიზაციაზე საუბრებს ევროვიზიაზე საუბრები ცვლის.

ვიზალიბერალიზაცია კი, დამეთანხმებით, მართლაც მთავარი იყო და რაც იყო, იყო. დღეს რა გვაქვს? დღეს გვაქვს... როგორ გითხრათ... აივანზე სიგარეტს რომ ეწევი, ოთახიდან ტელევიზორის ხმა რომ გესმის, თბილისში მოღრუბლულობაა და მერე რომ გესმის, ამინდის პროგნოზი თიკა გრძელფეხებაშვილმა გაგაცნოთო.

პროგნოზი არა, ტოროლა!! პროგნოზი ის არის, მანამდე რომ იტყვი, როგორც თბილისში ჩამოსულმა ავსტრიის პრეზიდენტმა თქვა: „ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით რიგაში უარყოფითი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული“. ეს იყო პროგნოზი, რომელიც არ გამართლდა. დაჯდა მეტი გოლი ჩვენ კარში, მეტი კუთხური ჩვენ კართან და მეტი გინება ჩვენ გასახდელში.

ხოლო ეს — ნინო ბურჯანაძე: „მე არაფერს ველოდი რიგის სამიტიდან“ და ეს — „ალექსი პეტრიაშვილი: „ხელისუფლებას ევროკომისიამ საშემოდგომო გამოაყოლა“, არის ის, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ — თიკა გრძელფეხებაშვილის მარიაჟობა ტელევიზორიდან.

„ვამბობდი, რომ რიგის სამიტზე არ იქნება არც ვიზალიბერალიზაცია და არც რაიმე წინსვლა ევროკავშირში გაერთიანებასთან დაკავშირებით, ამის გამო ლამის ანათემას გადამცეს და ყველაფერი ე.წ. ჩემს პრორუსულ პოლიტიკას მიანერეს იმიტომ, რომ არავის უნდა მოისმინოს, მართალია არასასიამოვნო, მაგრამ რეალური ანალიზი“, — განაცხადა ბურჯანაძემ, რომელსაც წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი 7 ნოემბრის შემდეგ, უმტკიცებდნენ იმას, რასაც უმტკიცებდნენ და რასაც მხოლოდ საპარლამენტო სიების შედგენის შემდეგ მიხვდა.

აი, რა სავალალო შედეგების მომტანია, როცა თავში პოლიტიკური აზრები გაწუხებს, ღეიბის ქვეშ კი — ხორბლის მარცვალი.

„მე მქონდა მოლოდინი, რომ საქართველო ტექნიკურ მხარეს 100%-ით შეასრულებდა, რადგან ეს არ იყო ძნელი. მეგონა, რომ არ მივცემდით საბაბს ევროკავშირს, ტექნიკური მიზეზით გადაედო რიმე სახის ნინსვლის აღიარება“, — თქვა მაია ფანჯიკიძემ.

არ გეგონოთ, თითქოს მაია ფანჯიკიძეს ნიშნს ვუგებდე, „ეგ როგორ იფიქრე“ და რამე. უბრალოდ, მინდა, ყურადღება მიაქციოთ, ამ სიტყვებს — „მეგონა, რომ არ მივცემდით საბაბს ევროკავშირს“.

ევროკავშირი თუ საბაბს ეძებს, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. მაია, მაია... მაისი მაინც არ იყოს და დიპლომატი მაინც არ იყო, შე ქალო.

რა ვიცი, მაისია?

ესეც მაგარია — „თეა წულუკიანი: საქართველო რიგის სამიტზე უვიზო მიმოსვლას არასოდეს ელოდა“.

კინაღამ დამავიწყდა. ავსტრიის პრეზიდენტის ნიუსი ნამდვილად ღირს იმად, რომ უფრო სრულად გავეცნოთ: „რიგაში არ იქნება მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით. ეს ბრძანა მათ შორის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ტუსკმაც. ბოლო დღეს, ევროკავშირის 28 სახელმწიფოსა და საქართველოს შორის გადაწყდება, რამდენად კონკრეტული და მოცულობითია ვიზალიბერალიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში, არ იქნება ეს უარმყოფელი ან უარყოფითი გადაწყვეტილება, რომელიც რადიკალურად უარს ეტყვის საქართველოს“.

მოკლედ, რიგაში დედას ნამდვილად არ გაგინებენ, არც კარგებს, კეთილებს და პატრონ-მყვარებელს, რომლებიც თვითონვე არიან. მხოლოდ მკვდარით და ცოცხალით შემოიფარგლებიანო.

როგორც გითხარით, გასულ კვირაში ავსტრიის პრეზიდენტი გვესტუმრა და ნიუსებიც ოხრად დაგვიტოვა, რომელთაგანაც ორს გამოვარჩევ: „პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ ჰაინც ფისერის და მარგიტ ფიშერის პატივსაცემად სადილი გამართეს“ და „მაკა ჩიჩუამ ავსტრიის რესპუბლიკის პირველ ლედის ფინჯან ჩაიზე უმასპინძლა“. რადგან მასპინძლობაზე ჩამოვარდა საუბარი, ბარემ აქვე, „პრემიერ-მინისტრმა არაბეთის გაერთიანებული საამიროების დელეგაციას ოფიციალურ ვახშამზე უმასპინძლა“ და „პრეზიდენტმა ლიდერ ქალებს უმასპინძლა“.

არა, ის „ფინჯანი ჩაი“ რაღა იყო, მეორე ფინჯანი დაენანა თუ ჩაი არ ვარგოდა — მთელი ფული რეზიდენციის გათბობა-გაგრილება-განათებაზე იხარჯება და „გურიელის“ მეტი ვერ გაქაჩეს? მაკა ის გოგო არ არის, სტუმრისთვის ჩაი დაენანოს, ალბათ ჩაის ხარისხი ვერ გაქაჩეს და, საერთოდ, მარგველაშვილის ხალხი რაღაც ვერ ქაჩავს. მაგალითად გასულ კვირაში იყო, პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში, გიორგი აბაშიშვილმა რომ თქვა „ახლა არ არის საუკეთესო დრო ურთიერთბრალდებებისთვის, მთავარი, რაც საზოგადოებას აინტერესებს, არის სტაბილიზაციისკენ გადასადგმელი ნაბიჯები“-ო.

ეგ რა მაგრად იციან ხოლმე, შეცდომებზე მიგითითებენ, დროს დაგიწუნებენ... ბარემ, თუ მაგარია, აბაშიშვილს ისიც ეთქვა, როდის არის საუკეთესო დრო ურთიერთბრალდებებისთვის — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, ვაზის ყვავილობა, ნუშის ყვავილობა, ალუბლის ყვავილობა, ფოთოლცვენა თუ რა ვიცი, კიდევ რა!

აბაშიშვილი ერთხელ მყავს ნანახი, „ჭაშნაგირში“ შემოვიდა, ხინკალს გეახლებოდით, ამ დროს გამომიწოდა ხელი გასაცნობად და კინაღამ ვუთხარი, ახლა არ არის საუკეთესო დრო გასაცნობად-მეთქი.

ყველაფერს ხომ მოფიქრება უნდა?! მაგალითად ამას: „თბილისში მინი-ფეხბურთში საზღვრის ერთიანი მართვის თასის გათამაშება გაიმართა“. ყანწი რომ გაეთამაშებინათ, კიდევ ჰო. ანაც ეს: „ენპარდის საკომუნიკაციო ჯგუფი აპირებს, მხარი დაუჭიროს პროექტს „ძლიერი ქალები სოფლად“. ამ პროექტს მეც ვუჭერ მხარს, მაგრამ ქალაქელმა ქალებმა რა დააშავეს?

კიდევ ბევრი იყო, ძალიან სასაცილოც და ძალიან დამაფიქრებელიც. სასაცილოებიდან ეს ამოვარჩიე: „საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ქეთევან ჯოხაძე სპორტულ (სამეჯლისო) ცეკვებში 2015 წლის ეროვნულ ჩემპიონატს დაესწრო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საკრებულოდან აცნობეს, ქეთევან ჯოხაძის განცხადებით, აღნიშნული ჩემპიონატი წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრია სპორტულ ცეკვებში“.

ხოლო ეს — „მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებთან ერთად, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი მოინახულა და მოძრავ ექსპოზიციას „ილია XXI საუკუნის ადამიანი“ გაეცნო“ — სასაცილოც არის და დამაფიქრებელიც.

მუზეუმების საერთაშორისო დღე რომ არა, ილიას სახლ-მუზეუმს ალბათ არც მოინახულებდნენ.

ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ ჩახუტების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საკრებულოს დეპუტატები, განურჩევლად ერისა, სქესისა, კანის ფერისა თუ პარტიულობისა, სხედან სხდომათა დარბაზში, ერთმანეთს ეხუტებიან და მტრედებივით ღუღუნებენ. ამ დაპირისპირებული პარტიების ურთიერთობას რომ ვაკვირდები, მაგათთვის ყოველი დღე ჩახუტების დღეა და, მართალი გითხრათ, ისევ ასე სჯობს. აბა, კოცნის საერთაშორისო დღე სჯობს? მაგათ ზასაობას რომელი ამომრჩევლის ნერვები გაუძლებს? ჩახუტებას კიდევ ვითმენთ. მეტი რა გზაა?! ერთადერთი დამოუკიდებელი დეპუტატია თბილისის საკრებულოში და მის შესახებ მართებულად აღნიშნა გუშინდელმა იუბილარმა, ზვიად გელაშვილმა — ალეკო ელისაშვილი ლარზე სწრაფად უფასურდებაო.

ეეე... ლარი სად იყო, ალეკო ელისაშვილი და ზვიად ქორიძე ერთად რომ უფასურდებოდნენ.

ორი ნიუსი უნდა გაახლოთ და მათი მიზეზშედეგობრივი კავშირის შესახებ თავად იმსჯელეთ. პირველი ნიუსი ჩემმა მეგობარმა სააგენტომ 18 მაისის 17 საათსა და 25 წუთზე გაავრცელა, რასაც, იმავე დღეს, 18 საათსა და 21 წუთზე მოყვა მეორე.

პირველი ნიუსი: „ზურაბ ადეიშვილი: „მე გავყიდე ჩემი სახლი საქართველოში. ჩემი ახლობლები იტანჯებიან იმის გამო, რომ ისინი სამშობლოში არ არიან“.

მეორე ნიუსი: „იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა წარადგინა“.

სწრაფი რეაგირება შემიძლიაო — წულუკიანმა უნდა თქვას.

რეაგირება, ანუ პასუხი. რაც შეეხება პასუხს და პასუხებს, ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოადგილემ არჩილ მესტვირიშვილმა პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე ისაუბრა — „რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო მონეტარული პოლიტიკა და ერთ-ერთი საუკეთესო პასუხები გვაქვს შოკებზე“.

ამ მთავრობას რა ვუთხარი, თორემ გიორგი ქადაგიძე ამდენი ხანი ციხეში, პარაშასთან უნდა იჯდეს და ტანსაცმელში მწერებს ითვლიდეს. იმასაც ვნახავდით, როგორი რეაგირება ექნებოდა არჩილ მესტვირიშვილს ქადაგიძის ტილებზე.

ნუუუ... ქადაგიძის კრისობები ძველი ამბავია. ქადაგიძე კი არა, ირაკლი ღარიბაშვილი გვირჩევს, სააკაშვილი წარსულია, დაივიწყეთ, ნუღარ ფიქრობთ და ნუ საუბრობთ მასზეო.

მართალია ეს კაცი. აგერ, ინტერპოლმა დაივიწყა და ვითომ ჩვენ ვინ ვართ, რომ არ დავივიწყოთ? არადა, რას წარმოვიდგენდი, მაგის დავიწყებას თუ შევეცდებოდი? სულ მეგონა, სერგო ორჯონიკიძე და მიხეილ სააკაშვილი ისევე არიან ჩვენი თანამედროვეები, როგორც იაკინთე ლისაშვილი და ლაშა ბუღაძე-მეთქი.

ეს ევროვიზიაც წარსულია, სხვა ვარსკვლავს, მომავალ ევროვიზიას ვდიოთ და კრება თუ არა, ქელეხი ხომ მაინც დარჩება მხიარული?

აი, მხიარული კრების საუკეთესო მაგალითი: „საკრებულოში პროექტი „ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში“ განიხილეს“. როგორც ვხვდები, ამ პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში 64 მუნიციპალიტეტიდან, თითოეულ მათგანში, სულ ცოტა, თითო ირაკლი ღლონტი გვეყოლება. აბა, როგორ? ყველას უნდა კაი ცხოვრება და პაეზდკები. ა, ბატონო — „საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი რიგაში საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა“ და... „თბილისის საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატები — თამარ ტალიაშვილი და გულიკო ზუმბაძე ბაქოში მე-3 მსოფლიო კულტურათაშორის ფორუმში მონაწილეობენ“.

ხმამაღლა ვაცხადებ: ვგმობ ყოველგვარ უსაქმურობას!!! ყოველგვარს!!!

ამ სიტყვას — „ყოველგვარს“ — იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ გასულ კვირაში ჩემმა მეგობარმა სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ „სახალხო დამცველი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელში ბავშვთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შემთხვევას გმობს“.

სახალხო დამცველისგან განსხვავებით, მე არა მხოლოდ გურჯაანის მუნიციპალიტეტის რომელიმე სოფელში, არამედ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში და, მეტიც, მსოფლიოს ყველა მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ბავშვებზე განხორციელებულ ძალადობას ვგმობ. რაც მთავარია, ამას ვაკეთებ ყოველგვარი გრანტის, ხელფასის, პრემიისა და დანამატის გარეშე.

აეგრე!!!

ხელნაწერთა ინსტიტუტის გაფიცულ თანამშრომლებზეც მინდოდა ერთი-ორი სიტყვის თქმა, მაგრამ დრო და სივრცე არ მყოფნის. უბრალოდ, ვიტყვი, რომ ხელნაწერებს არ უნდა იცავდნენ ძონძები და ის ხომ ყველამ ვიცით, ამ ძონძებში ვინც და რაც იმალება? და თუ დამალვაზე მიდგება საქმე, ვარაუდების გამოთქმაც შეიძლება. გასულ კვირაში აჭარის მთავრობის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ნაციონალურ მოძრაობას სამუზეუმო ექსპონატი უწოდა.

ნაციონალური მოძრაობის ადგილი დღეს ციხეშია, ხვალ ისტორიის სანაგვეზე, მუზეუმში კი ფიროსმანი და კაკაბაძე გამოვფინოთ.

ღმერთმა არ ქნას და ნაციონალები რომ დაბრუნდნენ, ის მაღალჩინოსანი თავს გაიმართლებს, იმას ვგულისხმობდი, რომ მიშას ნაქონი კალმის ადგილი დეოკუპაციის მუზეუმშიაო.

ასეთი ტიპი შორს წავა... თუ ჩვენ თვითონ არ გავუშვებთ „შორს“.

და, ბოლოს სტატიის სათაური, რომელიც ერთი ნიუსის წაკითხვისას მომივიდა თავში.

„არ დავმალავ, დემური ფიქრობს, რომ კერძო სექტორში წავიდეს, მაგრამ ჩემი დაჟინებული თხოვნაა და ვფიქრობ გაითვალისწინებს, რომ ის უნდა დარჩეს მთავრობაში, — ასე გამოეხმაურა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის, დემურ დიასამიძის განცხადებას თანამდებობიდან გადადგომის შესახებ“, — იუწყებოდა ჩემი მეგობარი სააგენტო.

მხოლოდ დაჟინებით რომ საქმე კეთდებოდეს...

ძველისძველი განცხადება მახსენდება — „ვარჩენ ბუასილს დაჟინებული მზერით“.

რავი... ნახევარი საქართველო დაჟინებით უმზერდა ევროვიზიას, მაგრამ...

ბუასილისა არ იყოს, ევროვიზიაც ისეთი რამ არის, თვალი რომ უნდა აარიდო.

ე.დ. (ევროვიზიაც დამთავრდა) უბედნიერესი კონჩეტინა გულის ჭაბუკის მარცხენა მკლავს დაეყრდნო, მეორე ხელით კი ნეფეს საწოლ ოთახში ხორაგით სავსე კალათა მიჰქონდა. და როცა კარი მიიხურა, მამიდა არიადნამ თავში ფრთხილად შემოირტყა ხელი და წარმოთქვა: „ჰოი, განგებავ! ეს უპირუტყვესთაგანი — თვით დიდი ბენჯამინო კარრასკოს სარეცელზე!!“ ქორწილი დამთავრდა.

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

რა მასალებს გადასცემს გერმანელ ჟურნალისტებს საქართველოდან გაქცეული ირაკლი კორძაია

„ირაკლი პასუხგაუცემელ კითხვებს არ დატოვებს!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ჟურნალისტი ირაკლი კორძაია, რომელიც „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ჯერ სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი იყო, შემდეგ კი „კავკასიაზე“ გადაცემა მიჰყავდა, რამდენიმე დღეა ქვეყნიდან გავიდა. კორძაია ბოლოს საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოკლული ბიზნესმენის, ბესო ხარძიანის მეგობრის სტატუსითა და ამ თემაზე გაკეთებული ხმამაღალი განცხადებებით მოექცა.

როგორც კორძაია და მისი მეგობრები აცხადებენ, ჟურნალისტი ბოლო 2 თვის განმავლობაში მუქარისა და ზეწოლის ქვეშ იყო და იდევნებოდა. გავრცელებული ხმით, კორძაია, რიგის სამიტის მიმდინარეობისას, რიგაში უნდა ყოფილიყო, თუმცა ისიც ითქვა, მოსკოვშიაო. რამდენიმე დღის წინ, კერძოდ 23 ივნისს კორძაიამ სოციალურ სივრცეში თავად გაავრცელა განცხადება, სადაც მხარდაჭერისთვის მადლობას იხდის და ამბობს, რომ გერმანიაშია და ადგილობრივ მედიასთან შეხვედრას აპირებს. **„რამდენიმე საათით ბერლინიდან ჰანოვერში ჩამოვედი. მექნება შეხვედრა ადგილობრივ მედიასთან. ადგილობრივი დროით 21:00 საათზე ბერლინში ვბრუნდები. ხვალ კი, ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით „დოიჩე ველეს“ სტუდიიდან ჩავერთვები. მადლობა ყველას თანადგომისთვის, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა...“** — დაწერა კორძაიამ Facebook-ის საკუთარ გვერდზე.

ირაკლი კორძაიას სპეციალური განცხადების გაკეთებას რამდენიმე დღეა, აანონსებს და ამბობს, რომ დევნის მიზეზებზე ისაუბრებს. მისივე თქმით, ამ დევნაზე მოქმედ ხელისუფლებას ინფორმაცია აქვს და ეს აწყობს. არადა, მოქმედ ხელისუფლებაში კორძაიას არაერთი მეგობარი ჰყავს, რომელთან ერთადაც სააკაშვილს, წლების განმავლობაში, ებრძოდა. განსაკუთრებული ურთიერთობა კი დევნილთა მინისტრ სოზარ სუბართან ჰქონდა, რომლის პრესსპიკერიც გახლდათ, თუმცა დღეს სუბარი დუმს და როგორც გავარკვიეთ, ძველი ურთიერთობაც გაუფუჭდათ. ის ერთადერთი განცხადებაც, რომელიც სოზარ სუბარმა გააკეთა, კორძაიას მხარდამჭერი ნამდვილად არ ყოფილა: **„ირაკლი კორძაიას არ აქვს საფუძველი, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო განცხადებები გააკეთოს. მესმის იმ ადამიანებისა, ვინც ბესო ხარძიანის მეგობრები იყვნენ, თუმცა ეს მათ არ აძლევს უფლებას, დაუსაბუთებელი განცხადებები აკეთონ. თავად ხარძიანი იყო კმაყოფილი მისი საქმის გამოძიების მსვლელობით“.** ალბათ, ამის და არამხოლოდ ამის პასუხად კორძაიამ კვლავ სოციალურ ქსელში თქვა: **„წავედი, რათა ჟურნალისტებს მივაწოდო ინფორმაცია. ვერ დავინახე, რომ ხელისუფლებას გააზრებული ჰქონდა ის საფრთხე, რომლის წინაშეც დავდექი, მაგრამ მაინც პირიქით მგონია, გააზრებული აქვთ და აწყობთ, ასე რომ იყოს“**.

ჟურნალისტსა და „ოცნების“ ექსმაღალჩინოსან ზვიად ჯანყარაშვილს შორის ურთიერთობა რამდენიმე სატელევიზიო განცხადების შემდეგ დაიძაბა. ხარძიანის ოჯახის ახლობლები აცხადებდნენ, მკვლელობის კვალი შესაძლოა, გია უდესიანთან მიდიოდესო, რომელთანაც ხარძიანს საკუთრების გამო დავა ჰქონდა. რამდენიმე ტელევიზიის პირდაპირ ეთერში კი კორძაია, უდესიანის გარდა, ლაშა ნაცვლიშვილისა და ზვიად ჯანყარაშვილსაც ასახელებდა, რომლებიც, მისი თქმით, ხარძიანისთვის ქონების დაბრუნების პროცესს აყოვნებდნენ. ამის შემდეგ ზვიად ჯანყარაშვილმა კორძაიას წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის მისგან 5 000-ლარიანი კომპენსაცია მოითხოვა. სარჩელს კორძაია სოციალური ქსელით გამოეხმაურა: **„საქალაქო სასამართლოში ირაკლი ღარიბაშვილის კორუმპირებული ნათესავის სარჩელის საპასუხოდ შესაგებელი შევიტანე. ამ პროცესით იხეირებს ორად ორი ადამიანი — მე, როგორც პროცესში გამარჯვებული და მისი გარდამავალი დროშა (ადვოკატი), რომელიც სავარაუდოდ, სოლიდურ ჰონორარს მიიღებს. რაც შეეხება უდესიანისა და სხვა „ნაცშპანას“ ლობისტ და სულიერ ძმა ჯანყარაშვილს, როგორც დავპირდი, 5 000 ლარს ციხის ბარათზე დავურიცხავ (ამ თანხად შეაფასა თავისი წარმოსახვითი პატივი და ღირსება), შევხვდებით სასამართლოში!“**

სასამართლომდე კორძაია პროკურორებს შეხვდა — დაკითხვაზე ორჯერ დაიბარეს. ამ შეხვედრის დეტალებზე „ვერსიას“ ჟურნალისტი **სოსო ზაალიშვილი** ესაუბრა, რომელიც ირაკლი კორძაიას ახლობელია. სწორედ ზაალიშვილმა მიაცილა კორძაია აეროპორტამდე და აცხადებს, რომ მეგობრის დევნისა თუ თვალთვალის მომსწრე პირადადაა:

— ირაკლი კორძაია მოსკოვში ნამდვილად არაა, თუმცა რუსული კარგად იცის და ეს, იმედია, ცოდვა არაა... მასთან კონტაქტი მაქვს. ზუსტად ვერაფერს ვეკითხები, რადგან ვიცი, ჩემი ტელეფონი ისმინება და არ მინდა, პრობლემები შეექმნას, თუმცა კარგადაა, ჯანმრთელად და ისიც შემიძლია გითხრათ, რომ უპასუხოდ არავის დატოვებს. არ ვიცი, აპირებდა თუ არა პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნას ევროპის რომელიმე ქვეყანაში, მაგრამ მას დევნიდნენ სააკაშვილის დროს, პრობლემები ჰქონდა ახალი ხელისუფლების დროსაც, რადგან ძველი ხელისუფლების ნაშთი „ოცნებასთან“ ძალიან კარგად თანამშრომლობს... მას სიმართლისთვის დევნიან, ევროპაში კი იმიტომ წავიდა, თავის სიმართლე დაამტკიცოს.

— კორძაია სოზარ სუბართან მეგობრობს, ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს. მის დევნაზე არავინ არაფერი იცოდა? ყველა რატომ დუმს?

— ვიცი, სუბართან მეგობრობდა. ახლა რა ურთიერთობა აქვს, ვერაფერს ვიტყვი. ვისთან რა ჰქონდა, კორძაია ცოტა ხანში თავად იტყვის. ირაკლი ის კაცი არაა, რამე დამალოს. კორძაია კი არ გაქრა, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად წავიდა.

— ამ მოვლენებს თქვენც ბესო ხარძიანის მკვლელობის შემდეგ გაკეთებულ განცხადებებს უკავშირებთ?

— დიახ, თუმცა არა მხოლოდ ამას... როგორც ვიცი, ირაკლი სპეციალურ განცხადებას გააკეთებს ევროპიდან და განმარტავს, ეს გადაწყვეტილება რატომ მიიღო. ერთია, სიმართლის გავრცელება და მეორე მისი დამტკიცება. აქ სიმართლის გავრცელების პრობლემა არ ექნებოდა, თუმცა ხარძიანიც ამბობდა, მომკლავენო, მაგრამ ვიდრე არ მოკლეს, თავის სიმართლე ვერ დაამტკიცა. სიმართლეს ვაზაგაშვილიც ამბობდა და ხარძიანიც, მაგრამ ორივე ტრაგიკულად დაიღუპა და ეს სიმართლე ჰაერში დარჩა. კორძაიაც სიმართლეს ამბობს და ყველანი ამ სიმართლის გავრცელებაში ვეხმარებოდით, მაგრამ სხვა თემაა, რა ხდება ამის თქმის მერე. დიახ, ვიცი, სოზარის მეგობარი იყო, მაგრამ არ მინდა, სხვის სულსა და საქმეებში ჩავძვრე. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ირაკლი კორძაია პასუხგაუცემელ კითხვებს არ დატოვებს.

— კონკრეტულად, რა ტიპის მუქარას იღებდა, ვისგან, ფიზიკურ ლიკვიდაციაზეც იყო საუბარი?

— რეალური პრობლემები ჰქონდა. იყო დევნა, თვალთვალი და ამას პირადადაც შევსწრებივარ. ეს ამბები აქტიურად ბესო ხარძიანის მკვლელობის მერე დაიწყო. მანამდე ასეთი მდგომარეობა არ იყო, ყოველ შემთხვევაში, ირაკლის ჩემთვის არ უთქვამს.

— ის სარჩელი რა ეტაპზეა, რომელიც ზვიად ჯანყარაშვილმა კორძაიას წინააღმდეგ შეიტანა?

— ვიცი, რომ ირაკლი დაკითხეს. მითხრა, პროკურატურაში ვიყავი და თავიდან სხვა თემაზე დამიძახეს, მერე სულ სხვა რაღაზე დამკითხესო. პირველად ჩვენება არ მისცა, მეორედაც დაუძახეს და ჩვენება მისცა, თუმცა ეს რომელ სარჩელს ეხება, არ ვიცი. ერთია, სარჩელი, რომელიც ჯანყარაშვილმა ირაკლის წინააღმდეგ სამოქალაქო წესით შეიტანა და 5000 ლარი მოითხოვა და მეორეა, საქმე პროკურატურაში. რა საქმეა აღძრული, არ ვიცი. არც ის ვიცი, კორძაიას წინააღმდეგაა აღძრული თუ ჯანყარაშვილის, თუმცა კორძაიას წინააღმდეგ რომ იყოს, მაშინ ელისო კილაძეს რატომ დაკითხავდნენ? ისეთს ვერაფერს ვიტყვი, რამაც შეიძლება, ირაკლი დააზარალოს, ამიტომ მეც მის განცხადებას ველოდები, რომელსაც რამდენიმე დღეში გააკეთებს.

ილია მეორე: „თუ გიყვარს შრომა, მიიღებ დიდ შემოსავალსა და დიდ მადლს!“

საკვირაო ქადაგებისას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შრომის მნიშვნელობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ადამიანი შრომას გადაეჩვია.

„ადამიანმა ამ ცხოვრებაში თავისი ადგილი უნდა იპოვოს. ძალიან ხშირად გვესმის: საქმე არ მაქვს, სამსახური არ მაქვს, სინამდვილეში, არ არის შეჩვეული შრომას. ადამიანმა უნდა იფიქროს, რა გააკეთოს. ჩვენ გადავეჩვიეთ შრომას – ინტელექტუალურ შრომას, გონებრივ შრომას, ფიზიკურ შრომას. გვინდა, ყველაფერი შრომის გარეშე მოვიდეს. ეს არ არის სწორი. წმინდა მამები ყოველთვის ფიქრობდნენ, როგორ ეცხოვრათ. მაგალითად, წმინდა მამები უდაბნოში მიდიოდნენ და იქაც კი ფიქრობდნენ, როგორ ეცხოვრათ“, — მიმართა მრევლს ილია მეორემ.

ამასთან, პატრიარქი ამბობს, რომ ადამიანებმა შრომა ლოცვით უნდა დაიწყონ. **„ანტონი დიდი უფალს ეკითხება: რა ვაკეთოო. მას ეთქვა – ილოცე და იშრომეო. ის კი არ ეთქვა, იშრომე და ილოცეო, არამედ ილოცე და იშრომეო. აი, ეს არის ჩვენი მიზანი, რომ შრომა ლოცვით დავიწყოთ. ჯერ უნდა ვილოცოთ, უფალს ვთხოვოთ ლოცვა-კურთხევა და შემდეგ შრომა, რომელსაც შენ გასწევ, იქნება დალოცვილი და კურთხეული“,** — ბრძანა პატრიარქმა.

ილია მეორემ მრევლს ასევე მიმართა, რომ საკუთარი საქმიანობისას არასოდეს დაკარგონ იმედი, რადგან იმედის დაკარგვა ღვთის წინაშე დიდი ცოდვაა.

„ინტერპრესნიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ტერიტორიული მთლიანობის საკითხი კვლავ მთავარ პრობლემად რჩება!“

„ჩვენ გვსურს, რუსეთთან გვქონდეს მეგობრული და კარგი მეზობლური ურთიერთობა, მაგრამ სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა არ გადაწყდება, ეს ურთიერთობები იქნება გაურკვევლობაში“, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა, რომელიც ეთნოგრაფიულ მუზეუმში სახალხო დღესასწაულ „აფხაზეთობის“ აღნიშვნას დაესწრო.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, ჩვენს ურთიერთობებში მთავარ პრობლემად რჩება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

პრემიერ-მინსიტრმა აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილ მოსახლეობასაც მიმართა და მათ წლების განმავლობაში გამოჩენილი გამძლეობისთვის მადლობა გადაუხადა:

„დევნილ მოსახლეობას, მინდა, მადლობა გადავუხადო მართლაც გმირობისთვის, რომელიც გამოიჩინეს. მათ წლების განმავლობაში არნახულ, ენით აუწერელ ტკივილს და დიდ გაჭირვებას გაუძლეს. მართლაც, რაც დასაფასებელია, ისინი ყოველდღიურად მართლაც გმირობას სჩადიან. ჩვენმა ხელისუფლებამ ათასობით დევნილ ოჯახს უკვე გამოუყო ბინა. როგორც კი ახალგაზრდული ოლიმპიადა დასრულდება, მათ კიდევ 16 კორპუსს გადავცემთ საჩუქრად. ეს არის ერთ-ერთი ვალდებულება, რაც სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შეასრულოს“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

როგორ მოხვდა „ოცნებაში“ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე

ივანო პავლიაშვილი

...55 წლისაა. 30 წელზე მეტია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა — სკოლაში ასწავლიდა და ლექციებსაც კითხულობდა, თუმცა რამდენიმე თვეა, სხვა ამპლუაშია — თბილისის მეხუთე მოწვევის საკრებულოს ხელმძღვანელობს... მინდა, ძველი უნივერსიტეტის აკადემიური სტილი საკრებულოში დავნერგოო, — მეუბნება. საერთოდ მშვიდია, ყოველ შემთხვევაში, ლამის ერთსაათიანი საუბრისას, უხერხული კითხვების მიუხედავად, ტონი არ შეუცვლია... ისე, იუმორსაც არ უჩივის. ეს როგორ დავასკვენი? მოდი, ასე ვქნათ: წინამდებარე არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ ერთი ამოსუნთქვით წაიკითხეთ და გაიგეთ, რატომ ეძახის თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი თავს ბეკინა სამანიშვილს...



— ბატონო გიორგი, თქვენ არ ვიცი, მე კი ძალიან გაბრაზებული ვარ!

— რატომ?

— დავიჯერო, თქვენ არ ხართ გაბრაზებული?

— გააჩნია, რაზე...

— ჯერ იყო და, იუსტიციის მინისტრმა ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის მიზნით გადამალული სამშენებლო ნაგავი აღმოაჩინა. მერე, ეს ნაციონალები ისე „გათავხედდნენ“, დადიან და „ოცნებელებს“ ჩქმეტენ...

— მოდი, ამ საკითხს ასე მივუდგეთ: „ქართული ოცნება“ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას და ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი. აქ რომ მოვედი, მოუგვარებელი უამრავი საკითხი დამხვდა, რასაც ხელის ერთი მოსმით არ მოევლება... ამიტომ რაღაც პრობლემები გაიწელა, თუმცა ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება და უახლოეს მომავალში შედეგს მოსახლეობაც იგრძნობს.

— ძალიან კარგი, მაგრამ ჩქმეტაზე გკითხეთ...

— რას გულისხმობთ?

— არ გაგიგიათ, ერთმა ცნობილმა ნაცმა განათლების მინისტრის თანაშემწესა თუ მრჩეველს საჯაროდ რომ უჩქმიტა?

— სამწუხაროა...

— დიახ, სამწუხაროა, მაგრამ ნორმალურია, როცა ჩინოვნიკი აცხადებს, მიჩქმიტესო?

— არასერიოზული და უცნაურია...

— მეც ასე ვფიქრობ... ისე, ლექტორობა პოლიტიკაზე რატომ გაცვალეთ?

— არ გამიცვლია!

— ეს როგორ?

— როცა საკრებულოს წევრობაზე კენჭისყრა შემომთავაზეს...

— ვინ შემოგთავაზათ?

— ინიციატივა „ოცნებიდან“ წამოვიდა...

— „ოცნება“ ჭრელი და მრავალფეროვანია...

— 2012 წელს, „ქართული ოცნების“ დაფუძნებაში ვმონაწილეობდი...

— ივანიშვილის ხათრით?

— ივანიშვილის ხათრით კი არა, იმ საერთო პოზიციის გამო, რომელიც ქართული საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილში შეიქმნა... მანამდე მთლიანად პედაგოგიურ საქმიანობაში ვიყავი — ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელსა და სკოლაში ვასწავლიდი.

— მსმენია, ალიბეგაშვილი კარგი ლექტორიაო...

— დიდი მადლობა... პედაგოგიურ მოღვაწეობას ვაგრძელებ — სკოლაში ვეღარ ვასწავლი, თუმცა კვირაში რამდენიმე ლექცია ისევ მაქვს, დილის 9 საათზე მივდივარ და თერთმეტისნახევრისთვის ვამთავრებ...

— და უნივერსიტეტიდან ამ „საგიჟეთში“ მოდიხართ?

— (იღიმის) „საგიჟეთს“ ნუ დავარქმევთ...

— კარგი, „პოლიტიკური საგიჟეთი“ ვთქვათ...

— მეხუთე მოწვევის საკრებულო ძალიან აკადემიური შემადგენლობითაა წარმოდგენილი — აქ არიან პროფესორები, კარგი სპორტსმენები... გენერალიც გვყავს...

— სხვათა შორის, პირველი მოწვევის საკრებულოსაც აკადემიური თავმჯდომარე ჰყავდა — ცნობილი ექიმი ლადო კახაძე...

— გეთანხმებით. ლადო კახაძე დღესაც ძალიან დიდი პატივისცემით სარგებლობს...

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ძალიან ხმადაბლა საუბრობს. ვთხოვ, ხმას ოდნავ აუწიეთ, თორემ ჩანაწერის მოსმენისას გავწამდები-მეთქი. მთავა ზობს, მოდი, ტელეფონს ხელში დავიჭერ და უკეთ ჩაიწერსო. კარგი-მეთქი, ვთანხმდები და წელანდელ ანუ იმ თემას ვუბრუნდები, რატომ გაცვალა ლექტორობა პოლიტიკაზე:

— ესე იგი, მაინც არ მეუბნებით, „ოცნებიდან“ შეთავაზება კონკრეტულად ვისგან მიიღეთ...

— როგორც ჩანს, სიას გადახედეს, ვინ მონაწილეობდა „ოცნების“ დაფუძნებაში და ალბათ აქედან წამოვიდა, თან თავდაპირველად საუბარი არ ყოფილა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციას დავიკავებდი...

— საკრებულოს წევრობა რომ შემოგთავაზეს, ბიძინა ივანიშვილს უკვე იცნობდით?

— არა, საერთოდ, სულ ორჯერ ვარ შეხვედრილი...

— მოდი, პირდაპირ მითხარით, ვისი კადრი ხართ — ღარიბაშვილის, კალაძისა თუ კოალიციის სხვა რომელიმე ფრთის?

— კონკრეტულ ადამიანზე ვერ ვიტყვი...

— პარტია „ქართული ოცნების“ წევრი ხართ?

— როგორც ჩანს, ვარ... არასოდეს, არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ 1987 წელს, ცხონებულმა გია ჭანტურიამ მითხრა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება უნდა დავაარსო და რას იტყვიო. ამ დროს დისერტაციაზე ვმუშაობდი და დავთანხმდი. ე.წ. გარდაქმნა უკვე დაწყებული იყო. რაღა დაგიმალოთ და, ამას ისე შევხედე, როგორც სუფთა ლიტერატურულ საზოგადოებას, მაგრამ ვაი, თქვენს მტერს, რაც ამას მოჰყვა: ეს საზოგადოება, თურმე, პოლიტიკური ყოფილა და ხან „კაგებეში“ გვატარეს და ხან სად. გვეკითხებოდნენ, რა მიზანი გქონდათო და რასაც ვფიქრობდი, გულწრფელად ვთქვი. ამის მერე ამ საზოგადოებასთან ურთიერთობა აღარ გამიგრძელებია, რადგან პოლიტიკური მოღვაწეობა ჩემი ამოცანა არ იყო.

სიამაყით ვიტყვი: გურამ რამიშვილის, რომელმაც გერმანული სკოლა ჩამოაყალიბა, ერთ-ერთი პირველი კადრი ვარ...

— საკრებულოს წევრებს სტუდენტებივით ხომ არ უყურებთ?

— შეიძლება, ცოტა ამბიციურად გამომივიდეს, მაგრამ გურამ რამიშვილს, რევაზ სირაძეს, აკაკი ბაქრაძეს, ვახუშტი კოტეტიშვილს, თამაზ ჩხენკელსა თუ სხვებს ჩემს მასწავლებლებად ვთვლი — მათგან ძალიან ბევრი ვისწავლე. ჰოდა, საკრებულოში იმ აკადემიზმის გადმოტანას შევეცადე, რომელიც ძველი თაობის უნივერსიტეტს ახასიათებდა. ეს შევძელი თუ არა, საზოგადოება უკეთ შეაფასებს...

— რა ამის პასუხია და, ორი დღის წინ, ნარმანიას ე.წ. ხუთი მრჩევლის პროექტი რატომ ჩაუგდეთ? არჩეულ მერს, თქვენი აზრით, ხუთი მრჩეველი უნდა ჰყავდეს?

— იცით, რა?! — ეს თავად სამსახურის უფროსის გადასაწყვეტია.

— შეიძლება, მაგრამ ამ სამსახურის ხელმძღვანელსა და მის მრჩევლებსაც მე, თქვენ და ათასობით ჩვენნაირი ინახავს!

— კი ბატონო, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ გადაადგილება მოხდა ანუ როგორც გაირკვა, მხოლოდ ერთი შტატი დაემატა, უფრო სწორად, მეტი სახელფასო განაკვეთი გამოიყო — 1000 იყო და 1700 ლარი გახდა. ეს მთლიანობაში, რა თქმა უნდა, ხარჯების მცირე გაზრდასთანაა დაკავშირებული, მაგრამ როცა უზარმაზარ ქალაქს ხელმძღვანელობ, ბუნებრივია, თავად უნდა გადაწყვიტო, საქმიანობის გაძლიერება რა მიმართულებით გჭირდება.

— როგორ მოგმართოთ: ბატონო გიორგი თუ ბატონო გია?

— როგორც გნებავთ, თუ გინდათ, პირდაპირ გიორგი...

— ბატონო გია, თქვენ, როგორც თბილისელი მაშინ, როცა ქუჩაში ნარმანიას სახელობის ხან ერთ ორმოში ვარდებით და ხან მეორეში, როგორ ფიქრობთ, მერი ქალაქს კარგად უძღვება?

— გულწრფელად გიპასუხებთ: ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ადამიანის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებასა და საქმისადმი ერთგულებას აქვს.

— კეთილსინდისიერი ადამიანი შეიძლება, უმოქმედო იყოს...

— აზრს ჩამოვაყალიბებ და მიხვდებით, რომ კითხვაზე გპასუხობთ. კეთილსინდისიერი, რა თქმა უნდა, შეიძლება, უმოქმედოც იყოს, მაგრამ საამისოდ ძალიან ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი არსებობს. ობიექტურ მიზეზად შეიძლება ის დავასახელოთ, რომ ერთთვიანი უამინდობა დაემთხვა, მაგრამ ეს მაქსიმალურ გამართლებად არ გამოდგება — რიგი სხვა საქმეების მოგვარება შეიძლებოდა. ბუნებრივია, რაღაცები დასალაგებელი და დასარეგულირებელია, მაგრამ საკრებულოში 11 კომისიაა, ყველას თავმჯდომარესა და წევრს ველაპარაკე, რომ ე.წ. გასვლითი საქმიანობა დაიწყოს.

— ბატონო გიორგი, ისე, გარანტიას გაძლევთ, მალე თბილისში უბედურება მოხდება და, მინიმუმ, 8 ოჯახი უსახლკაროდ დარჩება — არც რევოლუციამდე, არც რევოლუციის მერე და არც ახლა ჩემს კორპუსს ყურადღებას არავინ აქცევს! ნეპოტიზმად არ ჩამითვალოთ, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, დახმარებას საჯაროდ გთხოვთ!

— ეს მხოლოდ თქვენი პრობლემა არაა. ამ კუთხით ძალიან დიდი როლის შესრულება თქვენს მაჟორიტარს შეუძლია, რადგან ამ მიმართულებით ქალაქს ბიუჯეტში გარკვეული თანხებია გამოყოფილი. გირჩევთ, ჩემს სახელზე განცხადება შემოიტანოთ და მხარში მაქსიმალურად დაგიდგებით!

— არც გამიგია, ჩემი რაიონის დეპუტატი ვინაა. არადა, ხალხთან, წესით, ერთხელ მაინც უნდა მოსულიყო...

— თქვენი მაჟორიტარი ირაკლი აბუსერიძეა, რომელიც ძალიან კეთილშობილი და საქმიანია...

— მომეჩვენა, რომ ღელავთ...

— არა, არა...

— ერთ კითხვას კიდევ დაგისვამთ და ქალაქის მერის თემას ამით ამოვწურავ: რაკიღა ლექტორი ხართ, დავით ნარმანიას შუალედურ გამოცდაში რამდენკრედიტიან შეფასებას მისცემთ?

— ყველაფერი მოგვარებადია... წინ წასვლა, რა თქმა უნდა, უფრო სწრაფი ტემპით შეიძლებოდა, მაგრამ ძალიან ბევრი შიდასტრუქტურული პრობლემა დაგხვდა ანუ ყველაფერი ერთპიროვნულ მმართველობაზე იყო დამოკიდებული...

— ცოტას წავიპროვოკატორებ: თბილისელებისთვის რა სჯობს — ერთპიროვნული მმართველობა და კარგი გზა თუ გუნდური მმართველობა და დანგრეული გზა?

— ჩემთვის საუკეთესო ვარიანტია, გუნდური მმართველობა იყოს და ყველაფერი მოგვარდეს.

— იდეალიზმი კარგია, მაგრამ ხომ ხედავთ, ამ გუნდური მმართველობით ჯერჯერობით მხოლოდ ჯოკია ბოდოკია მივიღეთ?

— ასეთი რაღაცები კარგად განვითარებულ ქვეყნებშიც ხდება, ამიტომ მითებს ნუ შევქმნით. თუ ვინმე რამეს დააშავებს — მე ვიქნები თუ სხვა, პარტიულ ნიშანს მნიშვნელობა არ აქვს, ყველაფერს თავის სახელი უნდა დაერქვას.

— კანონმორჩილი ხართ?

— შეძლებისდაგვარად...

— ...პოლიტიკოსი ხართ?

— პოლიტიკას ვსწავლობ. აქამდე ჩემი პოლიტიკური აქტიურობა სამეგობროსა და იმ საზოგადოებით შემოიფარგლებოდა, სადაც ვტრიალებდი...

— ამბობენ, პოლიტიკა ბინძურიაო. არ გეშინიათ, „გაბინძურდეთ“?

— ჩემი საქმიანობა ქალაქის პოლიტიკითაა განსაზღვრული და ეს პოლიტიკა ქალაქის წინსვლას სჭირდება. თუ ვიტყვით, რომ ზოგადად, პოლიტიკა ბინძური თამაშია, ვფიქრობ, ქალაქის პოლიტიკა მისგან მაქსიმალურად გამოყოფილია.

ამის შემდეგ სიტყვა საკრებულოს ნაციონალ წევრებზე ჩამოვაგდე. გიორგი ალიბეგაშვილმა დამაჯერებლად ამიხსნა, რომ ოპოზიციის არსებობა დემოკრატიის ნიშანია. რასაკვირველია, დავეთანხმე, თუმცა იქვე ჩავეკითხე:

— ბატონო გია, არ აღიარებთ, რომ დებატებს აგებთ ხოლმე?

— პრობლემის წინაშე ის დგება, ვინც საქმეს აკეთებს. ზოგ საკითხზე ლაპარაკი იოლია. ფილოლოგი ვარ და „ვეფხისტყაო-

სანი“, მინიმუმ, ოცჯერ მაქვს წაკითხული, მაგრამ „ვეფხისტყაოსნიდან“ შეიძლება ისეთი რამ მკითხოთ, რაც არ ვიცი...

— გამორიცხული არაფერია, მაგრამ მგონი, ცუდი არ იქნება, ნაცებს ცოტა დემაგოგია „ესესხოთ“, თორემ ხომ ნახეთ, NDI-მ „ოცნებას“ 24-პროცენტიანი რეიტინგი „დაგიდოთ“...

— გეთანხმებით, მაგრამ ყველაფერი დროებითი და გამოსწორებადია...

— ...ბატონო გიორგი, რაკი ქალაქის პოლიტიკაში ხართ, მითხარით, მას შემდეგ, რაც საკრებულოს თავკაცი ხართ, თბილისისთვის რა გააკეთეთ?

— სოციალური დახმარებები ძალიან გააქტიურებულია. ყოველ ოთხშაბათს, 9-დან 12 საათამდე მოქალაქეების მიღება მაქვს და შედეგებიც ვიცი, ვის როგორ და რით დავეხმარეთ. განსაკუთრებით მხარდაჭერილი კი ჯანმრთელობის საკითხებია. ხალხი ადრე, თუ შეიძლება ასე ითქვას, პანტა-პუნტით იხოცებოდა, ახლა კი, გულის სტენტირებაზე რიგი დგას — ოპერაციის 70 პროცენტს სახელმწიფო აფინანსებს, დანარჩენი კი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერაა.

სხვა თემებიც არსებობს, მაგალითად, უბინაო ოჯახები, რომელთათვისაც ბინას ვქირაობთ, თუმცა ბინის ქირის უსასრულო გადახდას არ მივესალმები. სჯობს, ცოტა გავიჭირვოთ, ბიუჯეტიდან თანხა გამოვყოთ და ისეთი ნაგებობები ავაშენოთ, სადაც ამ ოჯახებს შევიყვანთ.

სოციალური თემის გარდა, ისეთი საკითხიცაა, რომელიც თბილისის ღირსებას ეხება. მაგალითად, ჟურნალი „ცისკარი“ აღვადგინეთ...

— „ცისკარი“ ვიწრო სეგმენტზეა გათვლილი...

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამით თბილისი თავის კულტურას აღიდგენს...

— „თბილისი პანორამაც“ თბილისის კულტურის აღდგენას ემსახურება?

— თუ ასე არაპროფესიულად ვიმსჯელებთ, რა მომწონს და რა არა, არ ივარგებს. ამ პროექტის შემუშავებაში უამრავი არქიტექტორი მონაწილეობდა და უამრავი აზრიც გამოითქვა. 60-იანი წლების შემდეგ, როცა მეტრო აშენდა, ასეთი მასშტაბური პროექტი თბილისში აღარ განხორციელებულა... ახლახან, „იბიარდის“ 3 ათასზე მეტი სტუმარი გვყავდა, თუმცა დედაქალაქში საკონფერენციო დარბაზი არ გვაქვს, სადაც შეხვედრა გაიმართებოდა. ფილარმონიაში, რომელიც საკუთრებაში 50 წლითაა გადაცემული, 2 200 ადამიანი ეტევა ანუ ქალაქი, პრაქტიკულად, მუნიციპალური საკონფერენციო და საკონცერტო დარბაზის გარეშეა დარჩენილი. ასეთი პროექტები კი ჩვენს დედაქალაქს ისტორიულ მნიშვნელობას დაუბრუნებს. თუ ასეთ პროექტებს არ განვახორციელებთ, წინ ვერ წავალთ. აზრთა სხვადასხვაობა კი უკეთესია — დემოკრატიული საზოგადოებისკენ მივდივართ და ყველას აქვს საშუალება, თავისი შეხედულება გამოთქვას.

— მშვიდობის ხიდი მოგწონთ?

— თავდაპირველად არ მომწონდა, რადგან თავისი იერსახითა თუ ფერით ქალაქს არ უხდებოდა, მაგრამ ვფიქრობ, ნელ-ნელა „ჩაჯდა“.

— ესე იგი, მომხრე არ ხართ, მშვიდობის ხიდი გლდანში ან ქალაქის სხვა გარეუბანში გადავიტანოთ?

— თუკი ვინმე უკეთეს პროექტს შემოგვთავაზებს, მაშინ გადატანა შესაძლებელი იქნება.

— უკეთეს პროექტს დაფინანსება დასჭირდება და, მგონი, უმჯობესია, ქალაქის ბიუჯეტიდან გაჭირვებულებს დაეხმაროთ!

— ქალაქს თავის იერსახე უნდა ჰქონდეს. თავის დროზე მთელი ამბები ატყდა, რომ ლუვრში პირამიდა არ უნდა აშენებულიყო, მაგრამ ამ პირამიდამ ტურისტთა რაოდენობა, დაახლოებით, 3-მილიონამდე გაიზარდა. ვერ გავჩერდებით, მოდი, ათი წელი არაფერი გავაკეთოთ და მხოლოდ ერთი პრობლემა მოვაგვაროთო. რაღაცნაირად უნდა გავიჭირვოთ, გარკვეულ შენიშვნებს, დარტყმებსა და პროვოკაციებს გავუძლოთ და ქალაქის ორივე მიმართულებაზე — სოციალურსა და კულტურულზე ერთდროულად ვიმუშაოთ.

— ...ლარის გაუფასურებამ დარტყმა თქვენც მოგაყენათ?

— გარკვეულწილად, კი, მაგრამ ორი ხელფასი მაქვს — საკრებულოსა და უნივერსიტეტში.

— ვიცი, არადელიკატური კითხვაა, მაგრამ სად უფრო მაღალი ჯამაგირი გაქვთ?

— წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტში ნახევარ შტატზე ვარ და ხელზე 540 ლარს ვიღებ. საკრებულოში კი 3450 ლარი მერიცხება.

— სამსახურებრივ მანქანას, თუ დასჭირდა, მეუღლეს ათხოვებთ?

— ჩემს მეუღლეს მანქანა ჰყავს, მე არა.

— მართვა იცით?

— დიახ, მანქანას 11 წლიდან ვმართავ, 18 წლისამ მართვის მოწმობა ავიღე, თუმცა ძირითადად, სახლიდან სამსახურში მოვდივარ.

— ბაზარში თქვენ დადიხართ თუ მეუღლე?

— კვირაობით მე დავდივარ...

— სამსახურეობრივი ავტოთი?

— არავითარ შემთხვევაში!.. ალექსანდრე ჭავჭავაძის აღმართზე გავიზარდე, უფროსი ძმა და პატარა და მყავს, პრაღაში, „თავისუფლების“ ჟურნალისტია. შინ მარტო ვერ მტოვებდნენ და კვირაობით, მამას ვერის ბაზარში მივყავდი ხოლმე. როგორც მერე მამამ მიამბო, 5-6 წლის ვიქნებოდი, ბაზარში, „მჟავეებთან“ ვიდექით, ვიღაც კაცი შემოვიდა, წიწაკა აიღო და გამყიდველს ჰკითხა, დედი-ჯან, ჩვენი ცხოვრებასავით მწარე წიწაკა რა ღირსო. ეს კაცი ნიაზ დიასამიძე იყო.. ასე რომ, ძველი თბილისის რაღაც დეტალები მახსოვს.

— წიწაკა გიყვართ?

— (იცინის) წიწაკა არა, თბილისი მიყვარს!

იცით, რაზე ვღიზიანდები?— რაღაცის სიყვარულის გამოხატვას გულზე მჯიღის ცემა და გულდათუთქული ლაპარაკი არ უნდა.

— სიყვარული ინდივიდუალური და ბრუნვადია!.. ახლა კი, ბატონო გიორგი, თქვენი ჯანმრთელობის ანკეტას შევავსებ...

— 1978 წლიდან აქტიური „კუსტბელი“ ვარ, თუმცა მერე, რაღაც პრობლემების გამო, ვეღარ დავდიოდი. უმოძრაობა საშინელებაა და ბოლო დროს სიარული ისევ დავიწყე. ბუნებით ტოროლა ვარ — დილით ადრე ვიღვიძებ, 6-ის ნახევარზე...

— რა ამის პასუხია და, მარტივი კითხვა: ნატო თუ რუსეთი?

— ეს ერის არჩევანია.

— ამ შემთხვევაში, თქვენი არჩევანი მაინტერესებს: ნატო თუ რუსეთი?

— ჩემი არჩევანი, რა თქმა უნდა, ევროპულია!

— ჰომოფობიური მიდრეკილებები ხომ არ აღგენიშნებათ?

— არა, მაგრამ რაღაცებზე ხაზგასმა მიუღებლად მიმაჩნია. კი ბატონო, ვისაც უნდა, თავისი პოზიცია დააფიქსიროს, მაგრამ ამით ხალხის გაღიზიანებისკენ არ უნდა წავიდეს...

— მოდი, ოჯახზე მიამბეთ, ბატონო გიორგი...

— ჩემი მეუღლე აღმოსავლეთმცოდნეა, ირანისტი — 15 წელია განათლების სამინისტროში ტრენერად მუშაობს. ჩემი ვაჟი ჰანოვერში ცხოვრობს — წითელ ჯვარში მუშაობს, უფროსი ქალიშვილი ერთ-ერთ აიპ-შია დასაქმებული, უმცროსი — მიკროსაფინანსო ფირმაში. მეოთხე შვილი 12 წლისაა, გურამ რამიშვილის სახელობის სკოლაში, მეშვიდე კლასში სწავლობს და კარგი მონაცემების წყალბურთელია.

— ნაბოლარა ბიჭია?

— დიახ...

— შვილიშვილი გყავთ?

— დიახ, ერთი. სხვათა შორის, გამორჩეული ვარ — შვილიშვილი ჩემს ბოლო ვაჟზე ორი წლით უფროსია და თავს ზოგჯერ ბეკინა სამანიშვილსაც ვეძახი ხოლმე — მეოთხე შვილი რომ შემეძინა, 43 წლის ვიყავი.

— გიორგი ბატონო, ორ-სამ კითხვას კიდევ დაგისვამთ და თავს დაგანებებთ: როგორც ფილოლოგმა, შეგიძლიათ, განმარტოთ, „იქნებოდეს იქნება“ რას ნიშნავს?

— სარკაზმი მესმის...

— სარკაზმი რა შუაშია?

— ეს კუთხური ფრაზაა, თუმცა სალიტერატურო ენა ზოგ კუთხურ დიალექტს იღებს, ზოგს არა...

— „იქნებოდეს იქნება“ რას ნიშნავს?

— რა გითხრათ? ვაჟა ფშაველა ძალიან უცნაურ ფრაზებს ამბობდა ხოლმე, რომლებიც მერე სალიტერატურო ენაში დამკვიდრდა. ეს ფრაზაც შეიძლება, იუმორით დამკვიდრდეს და შეიძლება, სრულფასოვანი სალიტერატურო სახე მიიღოს.

— გამორიცხული, ცხადია, არაფერია, მაგრამ ამ ფრაზის ავტორი ვაჟა ფშაველა არაა!

— პატრიარქი ზოგჯერ წაუმოხეურებს ხოლმე. მეც მოხევე ვარ და ზოგჯერ ჩემი კუთხის ფრაზის თქმა მსიამოვნებს.

— არ გინდათ, თქვენს გუნდს და საერთოდ, ქართველ პოლიტიკოსებს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები ჩაუტაროთ?

— (იცინის) ქართული ენის გაკვეთილები მედიასაც არ აწყენდა.

— გეთანხმებით... ნერვები მოგიშალეთ?

— არა!

— ბატონო გიორგი, ანეკდოტს მომიყვებით?

— ერთხელ, ვახუშტი კოტეტიშვილმა სუფრასთან მოყვა: მიხომ კოლმეურნეობაში მიღება ითხოვა. ჰკითხეს, მიხო, რა შეგიძლიაო. შამიძლია, მოვთიბოო. მიუგეს, მთიბავი ძალიან ბევრი გვყავს და კიდევ რა შეგიძლიაო. მიხო დაფიქრდა და თქვა, შამიძლია, არ მოვთიბოო.

— ბოლოს, ბატონო გიორგი, ერთი კითხვა თქვენ დამისვით...

— ეს კითხვა კი არა, უფრო სურვილია: ჟურნალისტებს დიდი როლი გეკისრებათ, რომ ხალხში დაძაბულობა, სტრესული მდგომარეობა რაღაცნაირად შეანელოთ და სახელმწიფოებრივი აზროვნებისკენ განაწყოთ.

— რეალობა დავმალოთ?

— არა, მაგრამ უარყოფითის მიღმა დადებითიც ხომ არის?! რაც თქვენზეა დამოკიდებული, ბოლომდე პირნათლად ასრულებთ?

— თუ პირადად მე მეკითხებით, გიპასუხებთ: მგონი, ვასრულებ!

— ძალიან მიხარია...

ვერსიანიუსი

პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს დეტექტივებისა და უბნის ინსპექტორების სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ირაკლი ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით ზესტაფონში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ერთ შეკვრად დაფასოებული 13,88 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 4,224 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება ჰეროინს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შსს-ს მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები სართიჭალელ მოსწავლეებს შეხვდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სართიჭალის მე-2 საჯარო სკოლის უფროსკლასელები ეწვივნენ. სტუმრებს სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა უმასპინძლეს. ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო და საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში განხორციელდა.

მომსახურების სააგენტოს სტრატეგიული განვითარების სამმართველოს თანამშრომლებმა მოსწავლეებს სააგენტოს სერვისებისა და საგზაო ნიშნების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. შემდეგ მოზარდებმა სააგენტოს შენობა დაათვალიერეს, მართვის მოწმობის თეორიული გამოცდის ახალ, 3D ბილეთებს გაეცნენ და გამომცდელთან ერთად პრაქტიკული გამოცდის ელემენტები გაიარეს. მათ ასევე მიიღეს ინფორმაცია სახელმწიფო სანომრე ნიშნის დამზადების ტექნოლოგიების შესახებ. შეხვედრის დასასრულს, მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრები და მათი სკოლის ნომრის გამოსახულებიანი სანომრე ნიშანი გადაეცათ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია 1 მაისიდან დაიწყო. კამპანიის მიზანია საზოგადოების ინფორმირება სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ფორმებისა და მოქალაქეების უფლებების შესახებ, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობა.

„ვერსიანიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პარლამენტში ბენდუქიძის საბანკო რეფორმის აჩრდილი გამოჩნდა

სკანდალი, რომელიც გიორგი ქადაგიძის წლიურ ანგარიშს მოჰყვება

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე წლიურ ანგარიშს პარლამენტში წელს უკანასკნელად წარუდგენს — ქვეყნის მთავარი ბანკირის პოსტზე 7-წლიანი სამუშაო ვადა 2016 წლის თებერვალში ეწურება. მართალია, 2015 წლის წლიურ ანგარიშსაც მოამზადებს, მაგრამ გაისად ამ ანგარიშს საკანონმდებლო ორგანოში უკვე მისი შემცვლელი წარადგენს, რომელსაც ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი დაასახელებს, პარლამენტი კი დაამტკიცებს. როგორ აფასებენ ეკონომიკის ექსპერტები გიორგი ქადაგიძის 7-წლიან მუშაობას და რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი — ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ანგარიშს მოიწონებს თუ ჩააგდებს? ეს კითხვა იმ ფონზე უფრო საინტერესოა, როდესაც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, თამაზ მეჭიაურის ინიციატივით, პარლამენტმა დაჩქარებული წესით უნდა მიიღოს საკანონმდებლო ინიციატივა, რასაც ეროვნული ბანკის დასუსტება მოჰყვება. პარლამენტარებმა — თამაზ მეჭიაურმა და ნოდარ ებანოიძემ მოამზადეს კანონპროექტი, რომლითაც ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების ზედამხედველობის დეპარტამენტი უნდა გამოეყოს.

რა პროცესები უძღოდა ქადაგიძის დამტკიცებას

გიორგი ქადაგიძე საქართველოს ეროვნულ ბანკს სათავეში 2009 წლიდან ჩაუდგა. როცა ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ქადაგიძის კანდიდატურა პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა, ექსპერტების ნაწილმა აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტი მაშინდელი გენპროკურორის, ზურაბ ადეიშვილის კადრი იყო. მეტი დამაჯერებლობისთვის, არგუმენტად ის ფაქტი მოჰყავდათ, რომ თავის დროზე გიორგი ქადაგიძე გენერალური პროკურატურის ეკონომიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

სხვათა შორის, ქადაგიძემდე, 2007-2009 წლებში, ქვეყნის მთავარი ბანკის პრეზიდენტის მოვალეობას ვიცე-პრეზიდენტი დავით ამაღლობელი ასრულებდა. 2007 წელს, საკუთარი ინიციატივით, განცხადების საფუძველზე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტი რომან გოცირიძემ დატოვა, რომელიც სააკაშვილმა 2005 წელს წარადგინა და კანონით, ვადა 2012 წელს უნდა ამოწურვოდა, მაგრამ მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა ეროვნული ბანკის გაკონტროლება გადაწყვიტა, რასაც რომან გოცირიძე კატეგორიულად დაუპირისპირდა. ვითარება გამწვავდა და დაპირისპირება პოლიტიკურ ჭრილში გადაიზარდა. გოცირიძემ განცხადება დაწერა და გადადგა. ზუსტად ამ დროს, სახელმწიფო მინისტრმა რეფორმების საკითხებში, კახა ბენდუქიძემ ეროვნული ბანკის რეფორმა განიზრახა, რომლის არსი ასეთი იყო: ეროვნულ ბანკს მთავარი ფუნქცია ანუ ბანკების ზედამხედველობის დეპარტამენტი უნდა ჩამოშორებოდა და ცალკე სტრუქტურად გარდაქმნილიყო, რის შემდეგაც ლართან ერთად, მიმოქცევაში დოლარი და ევრო შემოვიდოდა და ბოლოს, ეროვნული ბანკი საერთოდ გაუქმდებოდა. ბენდუქიძის რეფორმა და ნოღაიდელის ინტერესები დაემთხვა, თუმცა, ვიდრე რომან გოცირიძე ეროვნულ ბანკს ხელმძღვანელობდა, ქვეყნის მთავარი ბანკის დასუსტება ვერავინ გაბედა. როგორც კი გოცირიძე გადადგა, ეროვნულ ბანკს ბანკების ზედამხედველობის სამსახური ჩამოაშორეს და ცალკე სტრუქტურად გარდაქმნეს, თუმცა მალევე მიხვდნენ, რომ იდეამ არ გაამართლა — რეალურად, საქართველოში მულტივალუტური სისტემა არ იმუშავებდა და არც საბანკო სისტემის ნგრევას მოჰყვებოდა ეკონომიკური ეფექტი, ამიტომ ბენდუქიძემ რეფორმა „შეცვალა“ და დეპარტამენტის სახით, ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს დაუბრუნა. ამავდროულად, ზურაბ ნოღაიდელის გავლენა შესუსტდა, რადგან სააკაშვილმა ყველა უწყებიდან ნოღაიდელის კადრი გაყარა. სამაგიეროდ, ეკონომიკური გავლენით მაშინდელი გენპროკურორი ზურაბ ადეიშვილი გაძლიერდა, რომელმაც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასა თუ სამინისტროში საკუთარი კადრი „ჩანერგა“, ძირითადად, ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის ან გენინსპექციის უფროსის პოსტზე.

იმის გამო მიიჩნევდნენ ქადაგიძეს ადეიშვილის კადრად და აცხადებდნენ, რომ ეროვნული ბანკის დირექტორად სააკაშვილმა პარლამენტს დასამტკიცებლად სწორედ ადეიშვილის კანდიდატურა წარუდგინა.

როგორ აფასებენ ექსპერტები გიორგი ქადაგიძეს

საზოგადოება 20/30-ის ექსპერტი **ნოდარ ჭიჭინაძე,** რომელიც „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა“ (აფბა) ასოციაციის პრეზიდენტია, გიორგი ქადაგიძეს ჯერ კიდევ მაშინ აკრიტიკებდა, როცა პოლიტიკურ ჰორიზონტზე ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ბუნდოვნად კი არა, „ბუზისტოლადაც“ არ ჩანდნენ. აფბა-ს სახელით, ნოდარ ჭიჭინაძე პრესკონფერენციებს 5-6 წლის წინ მართავდა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ბრალს სავალუტო ოპერაციების მანიპულაციებში სდებდა... სხვათა შორის, 2014 წლის ნოემბრიდან დღემდე, საქართველოს ეროვნული ვალუტა თითქმის 31%-ით გაუფასურდა.

ნოდარ ჭიჭინაძე: ***„ეროვნულ ბანკსა და მის პრეზიდენტთან, რეალურად, ორი-სამი პრეტენზია მაქვს, რომელიც პოლიტიკურ ფაქტორს უკავშირდება. კანონით, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი, ნეიტრალური და აპოლიტიკური სტრუქტურა უნდა იყოს. არადა, არაერთხელ დადასტურდა, რომ ქვეყნის მთავარი ბანკი პოლიტიკური პროცესებისგან შორს არ ყოფილა. ამას 2012 წლის 30 აპრილს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებაც ამტკიცებს, რომლითაც შესაძლებელი ხდებოდა, რომ ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შესაბამისი ეკონომიკური განათლება არ მოეთხოვებოდა. ამ კანონის მიღებიდან ორ კვირაში, 2012 წლის 15 მაისს, ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში მოხვდნენ ვაჟა ჯანყარაშვილი და ნიკოლოზ გონგლიაშვილი, რომლებიც სწორედ მთავარი პროკურატურის კადრები არიან. ამიტომ ლოგიკურად მიჩნდება კითხვა, რა საჭირო იყო ეს საკანონმდებლო ცვლილება და ეროვნულ ბანკში ორი, პროფესიით არაეკონომისტის წარდგენა? გარდა ამისა, საინტერესოა, რა დამსახურებისთვის წარადგინა სააკაშვილმა გიორგი ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტად? — მაშინ იგი 29 წლის იყო. შესაძლოა, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, კარგი სპეციალისტია, მაგრამ ეკონომიკური განათლება არ აქვს. არ მინახავს ქადაგიძის ნაშრომები ან მის მიერ დაწერილი სტატია ეკონომიკის საკითხებზე“.***

ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტი და ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **რომან გოცირიძე,** „ვერსიასთან“ საუბრისას, აცხადებს, რომ 5-ქულიანი სისტემით, გიორგი ქადაგიძის 7-წლიან მოღვაწეობას 4 ქულით აფასებს:

„კარგი ოთხიანით იმის გამო ვაფასებ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებში, დიდ ზეწოლას გაუძლო, თუმცა ვფიქრობ, ბოლომდე ვერა, რადგან სავალუტო რეზერვებიდან 440 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა. მთლიანობაში, მისი მუშაობა მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ, რადგან ქადაგიძემ მეზობელი ქვეყნების — აზერბაიჯანისა და სომხეთის გამოცდილება არ გაიზიარა და როცა დაინახა, ინტერვენციებს (სავალუტო რეზერვების გაყიდვას) შედეგი არ მოჰყვებოდა, ცდუნებას არ აჰყვა და ქვეყანას სავალუტო რეზერვები შეუნარჩუნა. ლარი თავისუფალ, მცურავ რეჟიმში დატოვა და ამით საფუძველი შექმნა, ეროვნული ვალუტის კურსი საბაზრო მეთოდებით დასტაბილურდეს“.

2014 წლის წლიური ანგარიში, რომელიც გიორგი ქადაგიძემ პარლამენტს უკვე წარუდგინა, დეტალურად ასახავს იმ ეკონომიკურ პროცესს, რაც შარშან განვითარდა. საგარეო ფაქტორების ანუ რუსეთსა და უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობის, ასევე ძირითად სავაჭრო-პარტნიორ ქვეყნებში ექსპორტის, ტურისტების რაოდენობისა და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების მიერ გადმორიცხული თანხების შემცირების გამო, ლარის გაუფასურება დაიწყო. ამ პროცესში ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები ხელს სწორედ ეროვნული ბანკისკენ იშვერდნენ და აცხადებდნენ, რომ ქადაგიძე მის ხელთ არსებულ ბერკეტებს არ იყენებდა. სავარაუდოდ, ეს იყო მიზეზი, რის გამოც, პარასკევს, 22 მაისს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ანგარიში უარყოფითად შეაფასა.

საზოგადოება 20/30-ის ექსპერტი, ნოდარ ჭიჭინაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ გიორგი ქადაგიძის 2014 წლის ანგარიში სრულად შეესაბამება იმ მიზნებს, რაც ეროვნულ ბანკს დეკლარირებული აქვს. თუ რომელიმე პარლამენტარს სურვილი ჰქონდა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ანგარიში ჩაეგდო, ეს 2013 წელს უნდა გაეკეთებინა, როდესაც ქადაგიძემ საკანონმდებლო ორგანოში 2012 წლის ანგარიში წარადგინა: 2012 წელს, პარლამენტმა სპეციალურად „ქართუ ბანკის“ გასაკოტრებლად მიიღო კანონი, რასაც მხარი შემოსავლების სამსახურმა და ეროვნულმა ბანკმაც აუბეს და რის გამოც, „ქართუს“ სერიოზული ფინანსური ზიანი მიადგა.

ნოდარ ჭიჭინაძე: „2014 წლის ანგარიში იმ პოლიტიკას შეესაბამება, რომელიც ეროვნულ ბანკს დეკლარირებული აქვს, ვგულისხმობ თარგეთირებულ (ინფლაციის თარგეთი — თავისუფალი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომლის დროსაც, საშუალოვადიან პერიოდში, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი განისაზღვრება, — ავტ.) ინფლაციას, თუმცა სხვა საკითხია, რა უნდა იყოს პრიორიტეტული — თარგეთირებული ინფლაცია თუ დევალვაციით გამოწვეული ზარალი. დიახ, ეროვნული ბანკის პოლიტიკა მის მიზანს შეესაბამება, მაგრამ საზოგადოებისა და ეკონომიკის რეალურ საჭიროებას — არა, პრობლემის რეალურ მოგვარებას არ ასახავს.

დასასრული მე-7 გვერდზე

ვინ არის გიორგი გუდაძე და რას ედავება პოლიცია

„არა ჩადებას“ — ეს კამპანია სოციალურ ქსელში რამდენიმე დღის წინ დაიწყო და ამავე სახელწოდებით 24 მაისს საპროტესტო აქცია მრგვალ ბაღშიც გაიმართა. კამპანიისა და აქციის ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „ძლიერი ქალი – ძლიერი სახელმწიფოს“ ლიდერი, ჟურნალისტი ლალი მოროშკინა გახლავთ. საქმე მისი ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი ქალბატონის შვილს, წყალბურთელ გიორგი გუდაძეს ეხება, რომელიც სამართალდამცველებმა 11 მაისს დააკავეს, საქმე 260-ე მუხლითაა აღძრული, რაც ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს. გუდაძის ახლობლებისა და ნათესავების მტკიცებით, სპორტსმენს ნარკოტიკული საშუალება ჩაუდეს. ექსპერტიზის პასუხის შემდეგ კი, როცა გუდაძის სისხლში, ნარკოტიკის კვალი ვერ იპოვეს, მისი სახლი გაჩხრიკეს და მე-17 საუკუნის რელიქვიური დამბაჩა წაიღეს. ახლობლების ინფორმაციით, გუდაძე დაკავების შემდეგ, 2 კვირაზე მეტია, შიმშილობს. არც შეთავაზებული საპროცესო შეთანხმების გაფორმებას აპირებს და არც — გამოძიებისთვის ცრუ ჩვენების მიცემას რამდენიმე თვის წინ მომხდარ კიდევ ერთ გახმაურებულ ამბავზე, როცა დღემდე დაუდგენელმა პირმა ვაკის აუზთან, საკუთარ მანქანაში ჩაცხრილა

„გიორგი გუდაძე ერთი პიროვნება კი არა, უკვე კრებითი სახელია, ვისაც ბოლო დროს წამალი ჩაუდეს. კარგად დაიწყო გომელაურმა, მაგრამ პირდაპირ ვამბობ, შს სამინისტროში მოკალათებულია ერთი ჯგუფი, რომელიც მინისტრს, მოადგილეებს, მთელ უწყებას საბოტაჟს უწყობს და მისი მიზანია, მთელ მსოფლიოს ესმოდეს ამბები საქართველოდან ადამიანის უფლებათა რღვევის შესახებ. ვეცდები, რიგის სამიტიდან დაბრუნებულ პრემიერს შევხვდე და სწორედ ამ თემებზე ვესაუბრო... აქცია მრგვალ ბაღში ჩვენი პროტესტის პირველი ეტაპია. ამის შემდეგ დაიწყება შიმშილობა მოდულის შენობასთან. 15 ივნისს კი უკვე სტრასბურგში ვიქნები, სადაც არასმთავრობო ორგანიზაციის ფარგლებში ანგარიშის წარდგენას ვაპირებ და გუდაძის საქმის დეტალებსაც აუცილებლად გავახმაურებ“, — აცხადებს ლალი მოროშკინა.

გიორგი გუდაძის საქმეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მსგავსი ეჭვები ბევრი დაკავებულის ოჯახს გამოუთქვამს, მაგრამ მოგვიანებით, შემცდარან: **„მერამდენე შემთხვევაა, როცა განმცხადებლები, მოქალაქეები მედიის საშუალებით აბრალებენ პოლიციას ნარკოტიკის ჩადებას, რაც შემდეგ ანალიზითა და ექსპერტიზით არ დასტურდება. ბოლო ასეთი ფაქტი ახლახან, 21 მაისს მოხდა, როცა ციციშვილის დაკავებაზე იყო საუბარი. აცხადებდნენ, თითქოს, მას ნარკოტიკი ჩაუდეს და შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანი ჯგუფური გამოძალვის ფაქტზეა დაკავებული“.**

ნინო კომახიძე

მსოფლიოს „ფილტვის ჭირის“ ეპიდემია ემუქრება

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

მაღალი ტემპერატურა, სახსრებისა და თავისტკივილი, თავბრუსხვევა, გულისწასვლა — ბოლო რამდენიმე დღეა, საქართველოში აქტიურად საუბრობენ ახალ ვირუსზე, რომელიც ძალიან სწრაფად პროგრესირებს და ფილტვებს თიშავს. ამბობენ, საავადმყოფოებში ფილტვების შეშუპებით არაერთი ადამიანი წევსო, თუმცა ოფიციალურ დონეზე არ დასტურდება, რომ ქვეყანაში ახალი ვირუსი „დაძრწის“. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის კომენტარიც ზუსტად ისეთივეა, როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში — საგანგაშო და საპანიკო არაფერია!

როგორი სიმპტომებით იწყება დაავადება და რა ინფორმაცია აქვთ ქართველ ექიმებს

ჩვენც სწორედ ეს გვინდა, მაგრამ საკითხავია, გვაქვს თუ არა სიმშვიდის საფუძველი მსოფლიოში არსებული ვითარების ფონზე: აშშ-ში ახლახან აღმოაჩინეს მეცნიერებისთვის აქამდე უცნობი მომაკვდინებელი ვირუსი და, როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, მან უკვე არაერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, სიმპტომებით კი ძალიან ჰგავს გრიპს. ამჟამად დაავადებას წამყვანი ამერიკელი მეცნიერები სწავლობენ, — ამ ინფორმაციას „დნი. რუ“ ავრცელებს და დასძენს, რომ რეალურად, მომაკვდინებელი ვირუსის შესახებ ერთი წლის წინ შეიტყვეს, როცა კლინიკაში მისული პაციენტი, 50 წლის ამერიკელი, ბურბონის შემოგარენიდან, რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა. ექიმები კი უძლურები აღმოჩნდნენ და აღიარეს, რომ ვირუსი მომაკვდინებელია, თუმცა ძალიან ჰგავს გრიპს — თავისა და სახსრების ტკივილით, მაღალი ტემპერატურითა და გულისრევით.

ლეტალური შედეგი 11 დღეში დადგა, სიკვდილის მიზეზად ოფიციალურად ფილტვების შეშუპება დასახელდა, გადამტანად კი — ტკიპა. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ უამრავი ტესტირების მიუხედავად, სიკვდილის რეალური მიზეზის დადგენა ვერ მოხერხდა, სისხლის ანალიზი გადაიგზავნა აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრში და ამ ვირუსს ახლაც იკვლევენ. რადგან გარდაცვლილი ბურბონდან იყო, დაავადებას პირობითად, „ბურბონული ვირუსი“ უწოდეს.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ჯერ უნდა გამოიკვლიონ ვირუსის მდგრადობა, შემდეგ — დაავადების რისკები და მისი გავრცელების მექანიზმი, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებენ ვაქცინაზე მუშაობას. არსებული ინფორმაცია კი მეტად არასახარბიელო დასკვნების საფუძველს იძლევა: უცნობია, როგორ ვრცელდება დაავადება, გარდაცვლილთა და დაავადებულთა რაოდენობა, ადამიანებს ახალ დაავადებაზე იმუნიტეტი არ აქვთ და მის წინააღმდეგ არც ვაქცინა არსებობს, სავარაუდოდ, ტკიპის ნაკბენით ვრცელდება და ვითარდება როგორც გრიპი.

ამ ფონზე მეცნიერები აღიარებენ, რომ ახალ ვირუსს, თუ დროულად არ მიიღეს პრევეცნიული ზომები, კაცობრიობის განადგურება შეუძლია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ საფრთხის წინაშე დიდი ბრიტანეთიც დადგა. წამყვანმა ბრიტანელმა ვირუსოლოგმა, პროფესორმა ჯონ ოკსფორდმა, ლონდონის უნივერსიტეტიდან, განაცხადა, რომ ეპიდემიურ ხასიათს ახალი ვირუსი ხუთ წელიწადში მიიღებს და გახდება სუპერგრიპის ახალი შტამი, რომელიც კაცობრიობას აზიიდან და აფრიკიდან ერთდროულად შეუტევს, — იუწყება MIGnews.

აფრიკაში კი, სადაც 24 შემთხვევიდან 17 ლეტალობით დასრულდა, უკვე ალაპარაკდნენ შეთქმულების თეორიაზე და ყველაფერში სწორედ ის „უცხოელი მკურნალები“ დაადანაშაულეს, რომლებიც ებოლას ეპიდემიისას, „ვითომ დასახმარებლად ჩავიდნენ, რეალურად კი ხელოვნურად დააავადეს აფრიკის მოსახლეობა“.

ამ ვარაუდის განსამტკიცებლად გასული საუკუნის 50-იან წლებს იხსენებენ, როცა აშშ უამრავ ცდას ატარებდა ლათინოამერიკის მოსახლეობაზე, რაც ბარაკ ობამამაც და ჰილარი კლინტონმაც აღიარეს და ამის გამო ბოდიშიც მოიხადეს.

„უახლოეს მომავალში შეიქმნება სინთეტიკური ვირუსი, რომელიც ბუნებაში ჯერ არ არსებობს და რომელსაც ადამიანის იმუნური სისტემა ვერაფრით დაძლევს“, — ამბობდა ექსპერტი ვირუსოლოგი დ. მაკარტური ჯერ კიდევ 1969 წელს და არავინ იცის, იქნებ, სწორედ არსებულ ვირუსს გულისხმობდა, რომელსაც გერმანიაშიც ებრძვიან? იქ დაავადებულთა რაოდენობამ 40 000-ს გადააჭარბა. გრიპის წლევანდელი ეპიდემია ყველაზე მასობრივია, — აცხადებს სააგენტო dpa-სთან სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი რობერტ კოხის სახელობის ინსტიტუდიან ზილკე ბუდა და ეპიდემიოლოგებიც თანხმდებიან, რომ ვირუსის შტამი შეიცვალა, აქედან გამომდინარე, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინებიც ნაკლებად ეფექტურია.

მართალია, ეს პრობლემები ჩვენგან შორსაა და თითქოს საგანგაშო არაფერი გვაქვს, მაგრამ საქმე ისაა, რომ არც მეზობელ უკრაინაშია სახარბიელო ვითარება, სადაც ბე ტიპის ახალი გრიპი ცირკულირებს, რომელსაც ადამიანი ფილტვების შეშუპებამდე მიჰყავს. სტატისტიკა კი ასეთია: ბოლო დროს კიევში 27 003 ადამიანი დაავადდა, რომელთა შორის 62% ბავშვია, ბოლო კვირაში კი მთელი მოსახლეობის 6,4%-ს გრიპის უცნაური გამოვლინებები აღენიშნა. „ახალი ვირუსი, რომელსაც ჯერ სახელიც არ აქვს, ადამიანს 24 საათში კლავს“, — იუწყება фрА3а და დასძენს, რომ რეალურად საქმე გვაქვს ფილტვის ჭირთან, რასაც, რა თქმა უნდა, ექიმები არ ადასტურებენ — არ უნდათ პანიკის გაღვივება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საავადმყოფოებში პერსონალს ურიგებენ ნიღბებს, რომელთაც 8 დამცავი ფენა აქვს და არაოფიციალურად, არსებობს მითითება, რომ ავადმყოფებთან მნახველები არ შეუშვან. ამბობენ, ფილტვის ჭირით კიევში უკვე 60 ადამიანი გარდაიცვალა და ეს იმიტომაც არაა გასაკვირი, რომ ის ერთ-ერთი აგრესიული ინფექციაა და ხშირად ლეტალური გამოსავლით სრულდება. ვრცელდება მღრღნელების საშუალებით და თბილი კლიმატი მშვენიერი გარემოა ამისთვის.

დაავადება ტემპერატურის უეცარი მატებით იწყება, რასაც ემატება თავისტკივილი, თავბრუსხვევა, სისუსტე, უძილობა, გულისრევა, ღებინება, კუნთების ტკივილი, ხშირად ადამიანი კარგავს გონებას და არც ჰალუცინაციებია გამოირიცხული.

უკრაინელებს ეკრძალებათ გახსნილი პროდუქტის ყიდვა და მხოლოდ დაბეჭდილი საკვები უნდა შეიძინონ, ხოლო თუ პური ან ბოსტნეული გახსნილია, მაშინ მდუღარე წყლით უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია.

არაფერს ვამტკიცებთ და იმედია, ზემოჩამოთვლილი ფაქტები საქართველოში არსებულ ვითარებასთან კავშირში არაა, მაგრამ არც ის იქნება ურიგო, ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე, რათა ერთხელ მაინც, საღი გონებით შევაფასოთ პრობლემა.

პარლამენტში ბენდუქიძის საბანკო რეფორმის აჩრდილი გამოჩნდა

მე-4 გვერდიდან

კანონმდებლობის დონეზე, გიორგი ქადაგიძეს პასუხს ვერ მოვთხოვთ, ლარის კურსს რატომ არ მიხედა, რადგან აუცილებლად გვეტყვის, რომ ამით ეკონომიკური ზრდა და ისედაც დაბალი ინფლაცია შემცირდებოდა. ჩემი აზრით, პრობლემის მოგვარების უსწრაფესი და ეფექტური გზა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებაა და ამას ეკონომიკური ზრდის შემცირება არ მოჰყვება“.

რომან გოცირიძეს მიაჩნია, რომ 2014 წლის ანგარიში კვალიფიციური დოკუმენტია, თუმცა ქადაგიძე ბოლომდე გულწრფელი არაა. მისი თქმით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა მთავრობა „დაინდო“ და ლარის კურსის გაუფასურების მიზეზად მხოლოდ საგარეო ფაქტორები დაასახელა:

„ანგარიშში იმ ეკონომიკურ შეცდომებზე, რასაც მთავრობა უშვებს, არაფერია ნათქვამი, თუმცა წლიური ანგარიშის გარდა, არსებობს პარლამენტში მისი განხილვის პროცესი და შესაძლოა, მაშინ უფრო ნათლად ჩამოაყალიბოს ქადაგიძემ მთავრობის შეცდომები, რაც მთლიანად ეკონომიკურმა გუნდმა დაუშვა. ყველაზე დიდი შეცდომა არჩევნების შემდეგ ტარიფების შემცირება იყო, რადგან საქართველოს მაკროეკონომიკური არასტაბილურობა მაშინ დაიწყო. ამას უამრავი პოპულისტური გადაწყვეტილება და, სხვადასხვა წამახალისებელი პროგრამით, მრავალი დარგის სუბსიდირება მოჰყვა. არადა, ეკონომიკური გუნდი მომჭირნე, ფინანსთა მინისტრი კი ძუნწი უნდა იყოს, არ შეიძლება, რომ ქვეყანას ხელგაშლილი ფინანსთა მინისტრი ყავდეს. მთავრობას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, რაც ლარის დევალვაციას შეაჩერებდა, მათ შორის, ბიუჯეტის სეკვესტრიც კი არ განუხორციელებია. კოსმეტიკური ცვლილება იყო ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯების 20 მილიონით შემცირება და ამ თანხის ერთი მუხლიდან მეორეში, ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გადატანა, თუმცა საკითხავია, ამ თანხით ახალ გზებს დააგებენ თუ, ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებს ლარის დევალვაციის გამო, დანაკლისს შეუვსებენ?“

რას ნიშნავს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა?

რას ნიშნავს, თუკი პარლამენტი გიორგი ქადაგიძის ანგარიშს ჩააგდებს? ეს ნიშნავს, რომ პარლამენტი ეწინააღმდეგება 2014 წელს მის მიერვე დამტკიცებულ იმ დადგენილებას, რომლითაც საქართველოს ეროვნულ ბანკს 2015-2017 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განუსაზღვრა. ამ დადგენილებით, 2015-2016 წლებში, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 5%, 2017 წელს კი — 4% უნდა ყოფილიყო. ამიტომ ცოტა გაუგებარია, რეალურად რა მოტივით ჩააგდო ეკა ბესელიამ ქადაგიძის ანგარიში ან სავარაუდოდ, რატომ უნდა გასცეს უარყოფითი დასკვნა საკანონმდებლო ორგანომ, თანაც იმ პირობებში, როდესაც ლარის დასტაბილურება დაიწყო?

ამ ფონზე, აქტიურად განიხილება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, თამაზ მეჭიაურის არაადეკვატური ინიციატივა, რომლითაც საბანკო ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს უნდა გამოეყოს. სინამდვილეში, კახა ბენდუქიძისეულ იდეას დღეს იმიტომ იხსენებენ, რომ ვალუტის გაუფასურების ირიბ მიზეზად კომერციული ბანკების სპეკულაციურ სავალუტო გარიგებებს ასახელებენ. თუკი ზედამხედველობის სამსახური ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდება, ხელისუფლებას კომერციული ბანკების გაკონტროლების საშუალება მიეცემა.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ნოდარ ჭიჭინაძე ვიცე-პრემიერის, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებას იხსენებს. კალაძემ აღნიშნა, რომ კომერციული ბანკების მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებზე ხელისუფლებას ინფორმაცია არ აქვს, მისი დახმარება კი მხოლოდ ეროვნულ ბანკს შეუძლია:

„ამ გადაწყვეტილების მიღებას ბევრი რამ დაემთხვა, განსაკუთრებით ვიცე-პრემიერის, კახა კალაძის განცხადება, რომელიც კომერციულ ბანკებს სულაც არ ეწინააღმდეგება. ზოგადად, ეროვნული ბანკის საიტზე, სავალუტო ბაზრის სტატისტიკაში კომერციული ბანკების მიერ დოლარის ყიდვა-გაყიდვა კარგადაა გაშლილი. ბოლო 5 წელია, ყოველწლიურად, ნახევარი მილიონი დოლარით მეტი გადის ანუ ბანკები უფრო მეტს ყიდიან, ვიდრე ყიდულობენ. მეჭიაურის საკანონმდებლო ინიციატივა და კალაძის განცხადება იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, ვალუტის კურსზე ბანკების გავლენაცაა. სწორედ ამ განცხადებების შემდეგ, ლარის კურსი მკვეთრად გამყარდა ანუ გარკვეული, ლოგიკური კვანძი კეთდება. საბანკო ზედამხედველობა პოლიტიკის გამტარებელი კი არა, მაკონტროლებელი სტრუქტურაა. ამიტომ ამ ინიციატივაში ტრაგედიას ვერ ვხედავ, რადგან ეროვნულ ბანკს ისედაც ძლიერი ფუნქციები დარჩება“.

რომან გოცირიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ეროვნული ბანკის გამოშიგვნის პროცესი დიდი ხანია დაიწყო. რამდენიმე წლის წინ, ეროვნულ ბანკს ფინანსური მონიტორინგის სამსახური „წაართვეს“. აქამდე მხოლოდ ეროვნულ ბანკს შეეძლო ნებისმიერი ტრანზაქციის კონტროლი, მაგრამ იმის გამო, რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ჯერ კიდევ ძველი გუნდი მუშაობს, მთავრობას მაინც არ აქვს წვდომა ამ ტრანზაქციებზე. ზოგადად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან ინფორმაციის გამოტანა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე არ შეიძლება. სასამართლო კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს ინფორმაციის გასაჯაროების გადაწყვეტილებას, თუკი ადგილი აქვს უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას ანუ „ფულის გათეთრებას“:

„საზოგადოება შეეჩვია, რომ მონიტორინგის სამსახური ეროვნულ ბანკს გამოაცალეს. ახლა მეორე, სერიოზული ნაბიჯის გადადგმას აპირებენ ანუ ეროვნულ ბანკს საზედამხედველო ფუნქციებიც უნდა ჩამოაშორონ, რაც ქვეყნის მთავარი ბანკის კასტრაცია იქნება. დღეს ამ იდეის გახმოვანება სახიფათოა, რადგან ზედამხედველობა ბანკების კონტროლს ნიშნავს. ეროვნული ბანკის ქოლგის ქვეშ, ზედამხედველობის სამსახური ფლობს სრულ ინფორმაციას ბანკების შიდასამზარეულოს შესახებ, მათ შორის, გაცემულ სესხებზე, კლიენტურაზე, ხელფასებსა და პრემიებზე ანუ ისეთ ინფორმაციას, რომლითაც მთელი ქვეყნის ბიზნესის გაკონტროლებას შეძლებთ. ეროვნული ბანკი აპოლიტიკურია და ეს მისი ფუნქცია უნდა იყოს, რადგან ბანკებიცა და ბიზნესიც თავს დაცულად გრძნობდნენ. კომერციულ ბანკებთან დაკავშირებით კალაძის განცხადებაც ადასტურებს, რომ ზედამხედველობის სამსახურის საშუალებით, მთავრობას ნებისმიერ დროს შეუძლია, აამოქმედოს ბერკეტები, რათა ტრანზაქციების შესახებ სრული ინფორმაცია მოიპოვოს. ეს კი სერიოზულად დააზარალებს როგორც ქვეყნის საბანკო სექტორს, ასევე სრულიად ბიზნესს“.

გარდაბნელი ქართველები დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგანან?!

რა სტრატეგია აქვს და როგორ გეგმავს სახელმწიფო საზღვრისპირა რეგიონებში დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებას

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

2006 წლის მონაცემებით, გარდაბნის მოსახლეობა 11 ათას, აღწევდა, უმეტესობას — 54 %-ს ქართველები შეადგენდნენ. დღეს კი, არაოფიციალური მონაცემებით, ქართველების რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. ზოგიერთ საზღვრისპირა სოფელში კი ქართული ოჯახი თითზე ჩამოსათვლელიღაა, რაც შიდა და გარემიგრაციით, ასევე შობადობის შემცირებითაა განპირობებული...

მე-4 რუსული საჯარო სკოლა ქალაქ გარდაბნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საჯარო სასწავლებელია — მოსწავლეების რაოდენობა 800 აღწევს. აქედან, 700-მდე აზერბაიჯანელია, 40-მდე ასირიელი, 30-მდე სომეხი, 10-მდე რუსი და 20-მდე ქართველი. სკოლაში ქართული სექტორიცაა, შესაბამისად არიან ქართველი პედაგოგებიც, თუმცა რუსულ სექტორზე უფრო მეტი ქართველი სწავლობს, ვიდრე ქართულზე.

მარინა ის ერთეული ქართველია, ვისი შვილებიც მე-4 საჯარო სკოლაში სწავლობენ. მას ორი შვილი ჰყავს, ორივე მცირეწლოვანი. ამბობს, რომ მესამესაც სიამოვნებით გააჩენდა, თუმცა ეკონომიური მდგომარეობა ხელს არ უწყობს. ამ ეტაპზე მისი ოჯახის ერთადერთი შემოსავალი მოხუცი დედის პენსიაა. კითხვაზე, თუ რატომ სწავლობენ მისი შვილები რუსულ სექტორზე, პასუხობს, რომ დღეს გარდაბანში რუსული ენა გაცილებით საჭიროა, ქართულს კი შინაც ისწავლის.

***„ჩემი შვილი რუსულ სექტორზე იმიტომ სწავლობს, რომ ვიფიქრე, რუსული აუცილებლად უნდა სცოდნოდა,. ჩემი შვილის კლასში 90 პროცენტი აზერბაიჯანელია. კარგი ხალხია, ურთიერთობაში პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ ხანდახან მგონია, რომ მთელი გარდაბანი მაგათია. ჩვენ არც მიწა გვაქვს, არც მოსავალი და არც შემოსავალი, მათ კი ყველაფერი აქვთ. ჩემი ვაჟი ძალიან კარგად სწავლობს, ეს მამშვიდებს. არ ვწუწუნებ, მომავლის იმედით ვცხოვრობ. არსად გვინდა წასვლა. ველოდებით, რომ მდგომარეობა შეიცვლება. ადრე სოციალურ დახმარებას ვიღებდით, მაგრამ, როდესაც ჩემმა ქმარმა ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობა დაიწყო, დახმარება შეგვიწყვიტეს. ახლა აღარ მუშაობს, მაგრამ დახმარებას მაინც არ ვიღებთ. მესამე შვილსაც სიამოვნებით ვიყოლიებდი. მაგრამ ამის საშუალება არ მაქვს“,** — ამბობს მარინა.

ნანასაც, მარინას მსგავსად, ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, მესამე შვილის გაჩენისგან ისიც თავს ეკონომიური მდგომარეობის გამო იკავებს: ***„ადრე სოციალურ შემწეობას ვიღებდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემმა მეუღლემ მუშაობა დაიწყო, სოციალური დახმარება ჩამოგვართვეს. მადლობა ღმერთს, დედამთილი პენსიას ღებულობს, ჩვენთვის ესეც ფულია იმიტომ, რომ ბავშვებს ძალიან ბევრი რამ სჭირდებათ. მინდოდა, მუშაობა ბაღში დამეწყო, მაგრამ არ ამიყვანეს, არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ჩემს ადგილზე აზერბაიჯანელი დაასაქმეს. არადა, მაშინ ჩემზე მეტად სამსახური არავის სჭირდებოდა. ახლა დამლაგებლად ვმუშაობ და სახლში არ ვზივარ... ვერ გეტყვით, რომ მშივრები ვართ, მაგრამ კარგი იქნებოდა, მიწა გვქონოდა. ჩვენს რაიონში წელგამართული რომ იყო, ან მიწათმოქმედებით უნდა დაკავდე, ან მეცხოველეობით, ან მეფუტკრეობით. ერთი ძროხა გვყავს და მხოლოდ საკარმიდამო ტერიტორია. შესაძლებლობა რომ მქონდეს, აუცილებლად გავაჩენდი მეტ შვილს, შეიძლება, აზერბაიჯანელებივით ვერა, მაგრამ სამი შვილი მაინც მეყოლებოდა“...***

ნანას მეზობლად მრავალშვილიანი აზერბაიჯანული ოჯახი ცხოვრობს. როგორც ოჯახის უფროსი, ბატონი აკბარი ამბობს, შვილები მისთვის ფასდაუდებელი სიმდიდრეა. სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავს, ასაკი რომ ხელს უწყობდეს, მეტიც ეყოლებოდა. ბატონი აკბარის შემოსავალი ოჯახური ბიზნესია: ფერმა აქვს და მეცხოველეობას მისდევს. გასულ ზაფხულს ოჯახმა 180-ათასიანი კრედიტი გამოიტანა. ეროვნული ვალუტის დევალვაციის მიუხედავად, მაინც კმაყოფილია: კრედიტი ლარში მისცეს და, ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ყველაფერი კარგად მისდის. აკბარს დღევანდელი მთავრობაც მოსწონს და ამბობს, რომ განვითარებისთვის ყველანაირი პირობა შეუქმნა.

„ჩვენ შრომა არ გვეზარება. ჩემი ვაჟი რუსეთში ცხოვრობს და ქალიშვილიც, მაგრამ, როდესაც ჩამოდიან, ყველანი ერთად ვშრომობთ — ნიჩაბი გვიჭირავს და ეს მეზობლებს უკვირთ ხოლმე. ეზოში სიმინდს ხედავთ? — სულ ჩემი რძლის დარჩენილია. ფერმაც მაქვს, საქონელიც მყავს, საწუწუნო არაფერი მაქვს“, — ამბობს ბატონი აკბარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი არმაზ ხარძიანი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ წინა ხელისუფლების დროს გარდაბნელები ხშირად კანონდარღვევის მსხვერპლნი ხდებოდნენ: ხშირი იყო მიწის ნაკვეთების არასწორი გადანაწილება. ხელისუფლება აქცენტს მხოლოდ ისეთი სოციალური ფენის წარმომადგენლებზე აკეთებდა, რომლებსაც იმდროინდელი მთავრობის ფინანსური დახმარება შეეძლოთ. დღეს, ხარძიანის განმარტებით, გარდაბნის გამგეობის აპარატი მთლიანად ხალხზეა ორიენტირებული. მოსახლეობასაც მეტი შესაძლებლობა აქვს, რომ განვითარდეს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რასაც გამგეობა აქტიურად ებრძვის, უმუშევრობაა. სწორედ ამიტომ ინვესტორებისთვის შეუცვლელი პირობა ისაა, რომ თუ სურთ, ბიზნესი გარდაბანში აწარმოონ, ობიექტებზე აუცილებლად ადგილობრივები უნდა დაასაქმონ. არმაზ ხარძიანი მიიჩნევს, რომ დემოგრაფიის გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო გზა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

„როცა მუნიციალიტეტში მოვედი, შვიდი თანამშრომელი დამხვდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური საერთოდ არ არსებობდა. აქტიური მუშაობა დავიწყეთ და ორ თვეში გარდაბნის მუნიციპალიტეტს ქვემო ქართლის რეგიონში საუკეთესო პრესცენტრი ჰყავდა. შემდეგ, ადმინისტრაციაში გადავედი... პრობლემები ჯერ კიდევ არის, თითქმის ყველა ქართულ სოფელს წყლის პრობლემა აქვს, თუმცა ამაზეც აქტიურად ვმუშაობთ. გაზის პრობლემა ნაკლებადაა, ელექტროენერგიის პრობლემა კი, მადლობა ღმერთს, არ გვაქვს. გვინდა, პომიდვრის სათბური ავაშენოთ. კიტრის სათბური უკვე აშენებულია და იქ ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული, — დღეში, 25 ტონამდე მოსავალი მოდის. პროდუქტი შიდაბაზარზე რიგდება, შიდაბაზრის ათვისების შემდეგ კი ექსპორტზე გატანაც შესაძლებელი იქნება. ასევე გვინდა, რომ სპორტის სასახლე ავაშენოთ, პროექტიც ნაყიდი გვაქვს. თავდაპირველად, პროექტი 100 ათასამდე დაგვიფასეს, რაც ჩვენთვის, რა თქმა უნდა, კატასტროფული თანხა იყო; მერე ასეთი რამ მოვიფიქრეთ: უკვე არსებული სპორტის სასახლის პროექტი ავირჩიეთ, სახე ოდნავ შევუცვალეთ და საბოლოოდ, 7 ათასი გადავიხადეთ“, — აცხადებს არმაზ ხარძიანი.

იმის გასარკვევად, რა პროექტებს ახორციელებს მთავრობა გარდაბანში მცხოვრები ქართული ოჯახების გასაძლიერებლად და შობადობის წასახალისებლად, „ვერსია” ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დეპარტამენტის სამმართველოს უფროსს, **თათია გვარამაძეს** დაუკავშირდა. როგორც აღმოჩნდა, ქვემო ქართლის რეგიონი დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებისთვის შექმნილ პროგრამაში იმიტომ ვერ „ჩაჯდა“, რომ აღნიშნულ რეგიონში, წინა წლებთან შედარებით, დაბალი შობადობა არ აღინიშნება. რაც შეეხება მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დაყოფასა და ციფრების ასე გამოყვანას, გვარამაძის განმარტებით, ეს მართებული არაა.

„მოგეხსენებათ, სოციალური მომსახურების სააგენტო, დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც გურიის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს ყოველ მესამე და მომდევნო შვილზე 150-200-ლარიანი ფულადი დახმარება გადაეცემათ. ეს რეგიონები იმიტომ შეირჩა, რომ დემოგრაფიული ბალანსი უარყოფითი იყო ანუ დაფიქსირებულია დაბალი შობადობა და მაღალი სიკვდილიანობა.

ქვემო ქართლი, კერძოდ გარდაბანი ამ პროექტში იმიტომ არ შედის, რომ წინა წლებთან შედარებით, დაბალი შობადობა და მაღალი სიკვდილიანობა დაფიქსირებული არ იყო. გარდაბნის შემთხვევაში, ცალკე პროგრამის შემუშავება ვერ მოხერხდება, რადგან ყველა რეგიონთან მიმართებაში, ერთიანი მიდგომა უნდა არსებობდეს“.

დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარე **თამარ ჩიბურდანიძე** იზიარებს გვარამაძის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საზღვრისპირა სოფლებში ფინანსური დახმარების გაწევა მხოლოდ ეთნიკურად ქართული მოსახლეობისთვის, თუნდაც მათი ოჯახების გაძლიერების მიზნით, არასწორია, რადგან ამით მოსახლეობის ეთნიკური გარჩევა მოხდება. ჩიბურდანიძის თქმით, დღეს სახელმწიფო როგორც აზერბაიჯანულ, ისე ქართულ მოსახლეობას განვითარების თანაბარ პირობებს უქმნის, როგორ გამოიყენებენ მხარეები ამ შესაძლებელობას, მათზეა დამოკიდებული.

„აზერბაიჯანელი და ქართველი მოსახლეობის განსხვავება არ შეიძლება. ისინი თანაბარ პირობებში ცხოვრობენ ანუ თუ დღეს სახელმწიფოს მხრიდან რამე პროექტი ხორციელდება, თუნდაც სოფლის მეურნეობის კუთხით, მასში ჩართვის შესაძლებლობა ორივე მხარეს თანაბრად აქვს, მაგრამ თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, პროექტი 90 პროცენტით აზერბაიჯანული მოსახლეობის მიერაა ათვისებული. არ ვიცი, ასე რატომ ხდება... წინა ხელისუფლების დროს, ასეთი სტრატეგია არსებობდა: იქიდან გამომდინარე, რომ აზერბაიჯანული მოსახლეობა რაოდენობრივად მეტია, ნაციონალურ მოძრაობას გათვლა ჰქონდა, რომლითაც დაკანონდა მიწები და რა ვქნათ, წავართვათ? — გამორიცხულია! ქართულ მოსახლეობაზე გული ძალიან მტკივა, მაგრამ კანონდარღვევას ვერ დავუშვებთ. მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული ფონდის ხელმძღვანელი ვარ და ფონდი, ძირითადად, ქართული გენოფონდის გადარჩენაზეა გათვლილი, პირდაპირ გეუბნებით: საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ დაყოფას კატეგორიულად ვგმობ. ყველა მოქალაქე თანასწორია!“

დემოგრაფიული აღორძინების ფონდის ხელმძღვანელმა „ვერსიასთან“ საუბრისას ასევე განაცხადა, რომ მართალია, გარდაბანი (ქვემო ქართლის რეგიონი) დემოგრაფიული პრობლემის მოსაგვარებლად შექმნილ პროგრამაში არ შედის (რომლის ფარგლებშიც, საქართველოს 6 რეგიონში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები ღებულობენ ფინანსურ დახმარებას), გამოსავალი მაინც არსებობს. კერძოდ, ამ პროექტით საქართველოს მთლიანი დაფარვა უნდა მოხდეს. რაც შეეხება თავად ფონდის პროექტებს, ჩიბურდანიძის თქმით, მაზე აქტიურად საუბრობენ, თუმცა ამ ეტაპზე კონკრეტული ინიციატივა არ აქვთ.

როგორც ჩიბურდანიძე განმარტავს, დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის გარდა, ცნობიერების შეცვლაცაა საჭირო — უნდა განისაზღვროს მრავალშვილიანთა სტატუსი და მათთვის სოციალური პაკეტი მომზადდეს.

დემოგრაფიული პრობლემები, როგორც უნდა გაგვიკვირდეს, მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობით არაა განპირობებული.

ცრუ ყაჩაღები

„მეშეშე“, 20-ლარიანი ყაჩაღობა და 17-წლიანი „სროკი“

პატიმარი №0578

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უაზრო დანაშაულის გამო მოხვედრილ ადამიანთა რიცხვი დიდია: ვიღაც ქათმის ქურდობისთვის ხვდება, ვიღაც ათი კილო ჯართისთვის, ვიღაცამ შესაძლოა, ტაქსისტი დააყაჩაღა და ათი ლარი წაართვა, სანაცვლოდ კი ყაჩაღობისთვის რვა წელი აიკიდა. ასეთი ადამიანების უმრავლესობა ყვება, რომ ათასობით ლარი აქვს მოპარულ-შერჩენილი და ამით ამაყობს. რეალურად, მათი უმრავლესობა ტიპური ქურდბაცაცაა და თანაც ისეთი, ათასობით ლარი მხოლოდ ბანკში თუ უნახავს, ტყვიაგაუმტარი შუშის იქეთა მხარეს და ხელშიც არ სჭერია. ისეთებიც არიან, რომლებსაც ათასობითაც მოუპარავთ და მილიონობითაც, მაგრამ ამაზე, უბრალოდ, არ საუბრობენ.

გლდანის ციხეში მიყვანილი პატიმარი №0578 საკანში ერთი დღის შესული იყო, როცა კარანტინიდან ახალი ნაკადი ამოიყვანეს. რადგან კამერაში ერთი ადგილი კიდევ იყო, იქ ერთ-ერთი პატიმარი, გიორგი მ. შეიყვანეს.

„რაზე ზიხარ, ძმა?!“ — კითხვა, რომელსაც ყველა პატიმარს უსვამენ, არც გიორგისთვის იყო უცხო.

„ყაჩაღობისთვის... სამ ეპიზოდზე მედავებიან, 30 წელი უნდა მოგცეთო და ეგებ, დავაკლებინო როგორმე“, — ამაყად თქვა გიორგიმ და სიგარეტი მოქაჩა.

„და სად იყაჩაღე ამდენი?!“ — ღიმილით ჰკითხა ლევანმა, რომელიც ძირითადად, იმით იყო დაკავებული, თავის ნარზე წამოწოლილი გალაკტიონის ლექსებს კითხულობდა.

„ეჰ, ძმაო, ცხოვრება რთულია, რთული... აი, შენ, მაგალითად, რაზე ზიხარ?!“ — კითხვა შეუბრუნა ლევანს.

„ჯერ მითხარი, სად და როგორ იყაჩაღე და მერე გეტყვი, მე რაზე ვზივარ“, — თბილად გაუღიმა ლევანმა და თვალები ისე გულუბრყვილოდ ააფახულა, №0578-მა ღიმილი ვერ შეიკავა.

„სამივე ეპიზოდი ტაქსებისაა — ჩაუჯექი გამთენიისკენ, ნავაჭრი წაართვი და ხანდახან შეიძლება, ას ლარზეც ახვიდე თითო ტაქსისტთან... და შენ რაზე ზიხარ?!“ — არ მოეშვა გიორგი.

„ჰოო... მართლაც, რთული და რისკიანი გზა აგირჩევია. არადა, ეს ტაქსისტები ზოგჯერ ისე გაჯიუტდებიან ხოლმე, გაგიჟდება კაცი. მერე რა, რომ მთელი დღის და ღამის ნაშრომი უნდა წაართვა, ცხოვრება რთულია, ძმაო. ხედავ, რამდენს რისკავს ხალხი და შენ კიდევ, დაგიღია პირი და გაიძახი, კლასიკა, კლასიკაო... რა კლასიკა, ძმაო, სად არის მაგდენი ფიქრის დრო, ჩაუჯექი ტაქსს, დააყაჩაღე, წადი, დაიძინე. მე შენ გეტყვი და, ტაქსისტები დაილევიან თუ კლიენტები“, — ლევანი №0578-ს მიუბრუნდა.

„და როგორ დაგიჭირეს ამ ბოზებმა?! დახვეწილი უნდა გქონდეს ეგ საქმე, როგორც ჩანს და, როგორ ჩავარდი?“, — №0578 გიორგის მიუტრიალდა და ლევანს არაფერი უპასუხა.

„გამოუცდელი „პადდელნიკი“ მყავდა, ორი ტაქსი დავაყაჩაღეთ, მერე, იმ ფულით დავთვერით და მესამე ტაქსი სახლთან რომ მივიყვანეთ, მაშინ დავაყაჩაღეთ. იმან კი პატრული გამოიძახა და პირდაპირ სადარბაზოს წინ დაგვიჭირეს, რა“, — დანანებით თქვა გიორგიმ.

„აუფ, არ დაუღუპიხარ, ბიჭო, იმ არიფს?! რას ამბობს ახლა მერე ის კაცი, რომ გამოგიშვა ამხელა „სროკზე“, ეს მოწყვეტილი ვარსკვლავივით ბიჭი?!“ — შეწუხდა ლევანი.

„მეღადავები?!“ — წარბები შეკრა გიორგიმ.

„არა, რას გეღადავები, კაცო?! მართლა მოწყვეტილი ვარსკვლავივით ხარ, რომ შემოხვედი, ღამის სურვილიც ჩავიფიქრე. ხომ იცი, ცაზე რომ ვარსკვლავი მოწყდება ხოლმე და ჩაფიქრება უნდა მოასწრო, ისე ვარ ახლა“, — სერიოზული სახით უპასუხა ლევანმა.

„შენ მაინც არ მითხარი, რაზე ზიხარ?!“ — ძველი კითხვა გაახსენდა გიორგის.

„თვითონ არ გეტყვის სიმართლეს და მე მომისმინე, — დაიწყო №0578-მა, — იმიტომ დაიჭირეს, ეგ უბედური, რომ თანამდებობაზე მუშაობდა საბურთალოს გამგეობაში. ქრთამი აიღო ხის მოჭრაზე — ვიღაცას შუა საბურთალოზე ხე მოაჭრევინა შეშად და ამ საქმეში ორი ათასი ლარი გამოართვა. მერე ძველი საქმეები გაუხსენეს და რაც ხეები მოჭრილა საბურთალოზე, თურმე სულ ამის ბრალი ყოფილა. ახლა ჰაერის პრობლემა რომ არის ქალაქში, ჩათვალე, ამის დამსახურებაა, რა! ცოლი ამას არ ჰყავს და შვილი, რა ენაღვლება. შენც ხომ საბურთალოზე ცხოვრობ და მოსთხოვე პასუხი, ძმაო! არა, შენ კი უშველე თავს ასე 15-20 წლით, ან ქსანში მოგახდევინებენ „სროკს“, ან რუსთავში და საბურთალოს ჰაერს კი აჯობებს ორივე, მაგრამ შენებს რა ეშველება?! ამას მისცემენ 3-4 წელიწადს და გავა გარეთ, გაუდაბნოებულ საბურთალოზე გაყიდის ბინას, იყიდის მუხიანის „დაჩებში“ ადგილს და იცხოვრებს ლამაზად“, — დაასრულა მოყოლა №0578-მა.

როცა №0578 ისტორიას ყვებოდა, ლევანიც ყურადღებით უსმენდა, მერე გაეღიმა, ბოლოს კი ხარხარი დაიწყო. გიორგიმ ლევანს გახედა, მერე №0578-ს და ჩუმად იკითხა: „გასროკეს“ უკვე?!“

„ჯერ არ „გაუსროკავთ“, სასამართლო მიდის, რაც თბილისში შეშის გამყიდველია, ყველა პირზე ადგება და ვნახოთ, რა იქნება. ის ხეები ნივთმტკიცებად აქვთ ამოღებული და... შენ მოდულის შენობაში მიგიყვანეს?!“ — უცებ ჰკითხა გიორგის №0578-მა.

„არა“, — თავი გადააქნია გიორგიმ.

„ჰოდა, თუ არა, იცოდე, რომ ამის ნივთმტკიცება ანუ მოჭრილი ხეები, მოდულის ეზოშია დახვავებული და მთელი თბილისი დადის სანახავად. მოსახლეობა ითხოვს, ეს შეშა სასამართლოს მერე საბავშვო ბაღებს დავურიგოთ, ოღონდ დამნაშავემ ანუ ლევანმა დახერხოსო. განაჩენში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომასაც ჩაუწერენ, ამ უბედურს, მაგრამ ამასაც სათავისოდ გამოიყენებს, დადგება შუა საბურთალოზე და დაიწყებს ხერხვას. ისე, შენ თუ იცი ხერხვა, ჩააწერინე შენს განაჩენშიც ეგ და ამოუდექი ამას გვერდით, თან „სროკი“ გავა, თან ჩათვალე, სვაბოდაზე ხარ, რა“, — ურჩია №0578-მა.

„ჰო, მთავარი არ დამავიწყდეს: ამას მეშეშეს ვეძახით და შენც ასე დაუძახე. კი უხდება ეს მეტსახელი, თითქოს ამისთვის მოიგონესო“, — დაასრულა მონოლოგი №0578-მა.

მეორე დილით გიორგიმ ყველაზე ადრე გაიღვიძა, რაღაც მელოდიის ღიღინი დაიწყო და ამ ღიღინზე გაეღვიძათ დანარჩენებსაც. №0578-მა თვალები მოიფშვნიტა, გაოცებით შეხედა გიორგის და ჩუმად ჰკითხა: „რას ღიღინებ?!“

„კლასიკაა, ძმაო. გუშინ ხომ თქვა მეშეშემ შენზე, კლასიკა უყვარსო, ჰოდა, კლასიკას ვღიღინებ, რა“, — გაუღიმა გიორგიმ.

„მეშეშე, შენ ეტყვი თუ მე განვანათლო?!“ — ახლა ლევანს მიუბრუნდა №0578.

„მე ვეტყვი, მე... მომისმინე, ტაქსისტების რისხვავ. დილით, ვიდრე ყველა პატიმარი თავისით არ გაიღვიძებს, ღიღინი კი არა, ხმამაღლა სუნთქვა არ გაბედო. ეს ერთი. თუ ყველაზე ადრე გაიღვიძებ, ამ პურს რომ გვიყრიან მაგიდაზე, ცელოფანში ჩადებ და საკიდზე დაკიდებ, ბუზები რომ არ დაასხდნენ, ოღონდ ხელებს დაიბან და ისე — ეს ორი და მესამე, მეშეშეს კიდევ ერთხელ დამიძახებ და მაგ გასიებული თავით „პარაშაში“ ჩაგაყუდებ და ჩაგრეცხავ. გასაგებია?!“ — დამარცვლით თქვა ლევანმა.

„აუფ, ამას ნახე, რა! არ მოინდომა ამ მექრთამემ ყაჩაღის „დაჩმორება“?!“ — შეიცხადა №0578-მა.

გიორგიმ №0578-ს გახედა, იმან თვალი ჩაუკრა, მიდიო და, ისიც ლევანს აესვეტა: „შენ რამდენს ბლატაობ, ბიჭო?! არ უნდა იცოდე, ვის როგორ ელაპარაკო?!“ — კბილებში გამოსცრა გიორგიმ და ვიდრე აზრზე მოვიდოდა, მუშტი ნიკაპში მოხვდა და კამერაში უკანალით გაცურდა. №0578 მაშინვე ნარიდან ჩამოხტა და ლევანს ხელი მკერდზე დაადო: „ეყოფა!“

„ეყოფა კი არა, ამას მართლა მეშეშე ვგონივარ, ამის დებილი დედა ვატირე“, — იფეთქა ლევანმა, მაგრამ №0578-მა აღარ მიუშვა, მერე წაქცეულ გიორგისთან ჩაიცუცქა და მშვიდად უთხრა: „მომისმინე, სირო, იმით რომ ამაყობ, ტაქსისტებს ვაყაჩაღებდიო, აღარ იამაყო. ყაჩაღობის ტრაკი თუ გაქვს, სხვა რამე და ვინმე აირჩიე, სოფლიდან ჩამოსულ „ნაროდს“ რომ დაერიე, მაგრამ მაგას სხვა ვაჟკაცობა უნდა. ამ მეშეშეს რომ უყურებ, შენნაირებს გარეთაც ზუსტად ისე ექცეოდა, როგორც შენ მოგექცა. ხმამაღალი სიტყვის თქმა არ გაბედო, ვიდრე მე და ლევანი ამ კამერაში ვიქნებით და მერე თავში ქვა გიხლია. რაც შეეხება კლასიკას, მაგაზე არ იფიქრო და ვერც მიხვდები ვერასოდეს, არ გაქვს სამაგისო უჯრედები. გასაგებია, თუ უკეთ ასახსნელად ლევანს დავუძახო?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„ვინ ხართ?!“ — ნიკაპი მოისრისა გიორგიმ და კამერის სხვა ბინადრებს გახედა. ხმას არავინ იღებდა და აშკარად ჩანდა, იმას იზამდნენ, რასაც ლევანი და №0578 იტყოდნენ.

„შენთვის ჩვენი სახელებიც საკმარისია — ლევანი და პატიმარი №0578. ბევრი ცოდნა ნაადრევად დაგაბერებს, გასაგებია-მეთქი?!“ — №0578-მა გიორგის საყელოზე მოქაჩა.

„გავიგე“, — დაიჩურჩულა გიორგიმ.

ნაშუადღევს ტაქსების ყაჩაღი სხვა პატიმრებს მიუჯდა და აჩურჩულდა. ხანდახან ლევანსა და №0578-ს გახედავდა, რომლებიც ჭადრაკს თამაშობდნენ, მერე ადგა, ლევანთან მივიდა, ხელი გადახვია და ღიმილით თქვა: „ბოდიში, ბიჭებო, არ ვიცოდი...“

№0578-ს გიორგისკენ არც გაუხედავს, ლევანმა კი მშვიდად თქვა: „ხელი აიღე ჩემი მხრიდან, მაგ ხელს ტაქსისტები ჰყავს დაყაჩაღებული!“

***

გიორგის სასამართლომ 17 წელი მიუსაჯა და როცა განაჩენი მოუტანეს, ლევანს მუშტის გემო კიდევ ერთხელ გაიგო — სამი ტაქსის დაყაჩაღებიდან გიორგისა და მის მეგობარს ოცი ლარიც არ ჰქონდათ წაღებული.

ვერსიანიუსი

112-ს აშშ-ს ჯორჯიის შტატის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები ეწვივნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტს აშშ-ს ჯორჯიის შტატის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელი პირები და საქართველოში აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) პროგრამის წარმომადგენლები ეწვივნენ. სტუმრებს 112-ის დირექტორმა გიორგი ბიჭაშვილმა უმასპინძლა.

ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ს დელეგაციის წევრები საქართველოში გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში არსებულ ვითარებას გაეცნენ და ქვეყანაში მოქმედი, გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის — 112-ის ფუნქციონირების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

სტუმრებს საშუალება მიეცათ, ადგილზე გაცნობოდნენ 112-ის ოპერატორების მუშაობის სპეციფიკას, დაკვირვებოდნენ ზარის მიღებისა და შეტყობინების დამუშავების პროცესს. გიორგი ბიჭაშვილმა დელეგაციის წევრებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერებინა და სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

„ვერსიანიუსი“

26 მაისის ღონისძიებების გამო, ტრანსპორტი შეცვლილი მარშრუტით იმოძრავებს

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს ჩასატარებელი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, გარკვეული ქუჩებისა და გამზირების ცალკეულ მონაკვეთებზე სატრანსპორტო მოძრაობა შეიზღუდება.

როგორც თბილისის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, შესაბამისად, დროებით შეიცვლება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობაც. ამ მონაკვეთებზე ტრანსპორტი იმოძრავებს ალტერნატიულ გზებზე.

კერძოდ: 24 მაისს, 21:00 საათის შემდეგ, შეიზღუდება მოძრაობა რუსთაველის გამზირისა და თავისუფლების მოედნის მიმართულებით და საზოგადოებრივი ტრანსპორტი იმოძრავებს მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი), მარჯვენა სანაპიროსა და ბარათაშვილის ქუჩის გავლით.

კოჯრის გზატკეცილზე მოძრავი – ოქროყანის, შინდისის, წავკისის, ტაბახმელის, კოჯრისა და კიკეთის მარშრუტები იმოძრავებენ ამაღლების ქუჩამდე (№11-ის მიმდებარე ტერიტორია).

26 მაისს, მოძრაობა შეიზღუდება ორბელიანის მოედანზე და აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული მიკროავტობუსების ბოლო გაჩერება გადავა ათონელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე.

26 მაისს, ასევე 16:00 საათიდან 21:00 საათამდე, დავით აღმაშენებლის გამზირზე სატრანსპორტო მოძრაობა შეიზღუდება მარჯანიშვილის მოედნიდან თამარ მეფის გამზირის გადაკვეთამდე. საზოგადოებრივი ტრანსპორტი თამარ მეფის გამზირიდან მოძრაობას გააგრძელებს წინამძღვრიშვილისა და კიევის ქუჩების გავლით. სატრანსპორტო მოძრაობა მითითებულ ტერიტორიებზე 27 მაისიდან აღდგება.

„ინტერპრესნიუსი“

1. ცუდი ამინდი
2. ძლიერი გატაცება
3. ვისიმე პირისპირ, პირდაპირ მჯდომი
4.განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში
5. რკინისა და ნიკელის შენადნობი
6.სამშობლოს მონატრებით გამოწვეული სევდა
7. გზის ზედაპირის საფარი რუხი მასა
8.ავადმყოფ. შიში საკუთარი ჯანმრთელობის გამო
9. სექტემბრის ხალხური სახელწოდება
10.ღრმა ადგილი მდინარეში, სადაც წყალი ტრიალებს
11. ნიუტონის „საყვარელი“ ხილი
12. გაუთხოვრად დარჩენილი ქალი
13. პირისახე წინიდან
14. რიცხვთა შეკრების შედეგი
15. გვიანი კლასიციზმის სტილი ევრ. ხელოვნებაში
16. სითხის მოცულობის საზომი ერთეული
17. სასწორის თეფში
18. ხის ჩასაბერი საკრავი
19. პატარა ჩიტი, იგივე სკვინჩა
20. თანამედროვე ამერიკელი მწერალი
21. ძველი ასურეთის დედაქალაქი
22. მტაცებელი ცხოველი
23. ხომალდის ტვირთი
24. საავადმყოფოს სახელწოდება ძვ. საქართ.
25. ნაწილობრივი სიბნელე
26.ევროვიზია 2015-ის ქართველი მონაწილე
27. სიცილური მაფია ანუ კოზა ...
28. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
29. ცხვირის ხვრელი
30. ქალის სამოსი
31. კენიის დედაქალაქი
32. ქართველი ბარდი ... რამიშვილი
33. მარვლნის რგოლისებური კუნძული
34. თურქეთის ფულის ერთეული
35. თხების ჯოგი
36.მოხეტიალე მოცეკვავე ქალი ინდოეთში
37. ხრიკი, ფანდი
38. ცხვრის მატყლის ცხიმი
39. მტაცებელი ფრინველი
40. წელიწადის 1/12
41 საბერძნეთის ადმინისტრაციტერიტორიული ერთეული
42.ქალაქი, სადაც ტაჯ-მაჰალი მდებარეობს
43. გველი ანკარას მეორე სახელი
44.იულიუს კეისრის ერთ-ერთი მკვლელი
45. პირამიდების ქალაქი ეგვიპტეში
46.ძველებური ლოდსატყორცნი მანქანა
47. მუსლიმანური წმინდა გამოცემა
48. ჰუნების წინამძღოლი
49. ბურვი, დასაყრდენი
50. გლადიატორთა საბრძოლო მოედანი
51. მეფე ლირის ერთ-ერთი ასული
52. დეზდემონას მამა „ოტელოში“
53.ვინმეზე გაწეული უანგარო შრომა
54.ისტორიის მუზა
55. ბურთის გასვ. მოედნიდან
56. ძველებური საწერი მასალა
57.აფრიკაში მცხოვრებ ხალხთა ჯგუფი
58. ღვთისმშობლის დედის სახელი
59.შტანგის აწევის ერთ-ერთი ხერხი
60. ინის საპირისპირო ცნება ჩინურ ფილოსოფიაში
61.კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი
62. იგივეა, რაც ავგაროზი
63. ირლანდიის რესპუბლიკური არმია
64.ლორდის მეუღლე დიდ ბრიტანეთში
65.ჭადრაკის ფიგურა
66.უფულო ადამიანი
67. ბიბლიური პერსონაჟი
68. მომკილი თავთავის კონა
69.იაპონიის ერთ-ერთი უდიდესი აეროპორტი
70.შლიმანის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ქალაქი
71.მუსლიმთა წმინდა ტაძარი მექაში
72.სირაქლემას სახეობა
73.საკანთა ნუსხა
74. ირლანდიელი ფეხბურთელი ... კინი
75. ჯარი, ლაშქარი ძველ ქართულში
76. ქართული ხალხური ზღაპარი
77. ძიუდოს დამფუძნებელი
78.საჭურისი „სიბრძნე-სიცრუისა“-ში
79.გათუთქული ტყემლის მოდუღებული წვენი
80. ბიბლიური აბრაამის ცოლი
81. იტალიელთა ტრადიციული ღვეზელი
82. საოპერო პარტია
83.შემოსეული ჯარი
84.სახოტბო ლექსი
85. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
86.ფისოვან ნივთიერებათა საერთო სახელი

შვილთან მსგავსებისთვის ოპერაცია გაიკეთა

ნისლიანი ალბიონის მცხოვრებმა ჯანეტ კანლიფმა რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, საყვარელ ქალიშვილს გაჭრილი ვაშლივით რომ დამსგავსებოდა. ამ უცნაურ საქციელს დედა შვილის მიმართ უსაზღვრო სიყვარულით ხსნის. ცხვირის და ტუჩების კორექცია, ასევე მკერდის გადიდება ჯანეტს 10 ათასი ევრო დაუჯდა, რის შემდეგაც იგი საკუთარი ქალიშვილის ზუსტი ასლია. შეხედეთ, რა მშვენიერია ჩემი გოგონა, რატომ უნდა ამეკრძალა საკუთარი თავისთვის, რომ მეც ასეთივე გავმხდარიყავი? — ამბობს ჯანეტი. როგორც ამბობენ, მისი 26 წლის ქალიშვილი დედის ორეულად გადაქცევას დადებითად შეხვდა.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲜᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7		6						
			7	3	8		4	
	9	8	2		6			
8	4	2						
		5		6		8		
						4	3	1
			6		3	1	5	
	2		5	8	9			
						9		4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		6	7					
				3	4		7	5
	5	4					6	
8					6	3	4	1
				8				
5	4	2	3					6
	3					6	8	
2	8		1	6				
					3	1		

ᲠᲗᲣᲚᲘ

2	7		4				9	8
	9				7	4		
				2			1	7
7			1					
			9	3	2			
					5			3
3	5			9				
		6	8				5	
9	8				1		7	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		2						8
	4					6	3	
1		3					5	
4					8		6	3
7			5	4	6			1
9	6		3					7
	1					8		6
	9	4					7	
8						2		

რეკორდი ბანკების ძარცვაში

ფლორიდის შტატში, ქალაქ ბრანდონში დააკავეს ქალი, რომელსაც ალბათ მსფლიო რეკორდის დამყარება სურდა — 25 წუთში სამი ბანკის გაძარცვა შეძლო. 20 წლის სინდი კარაბეო მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც ერთმანეთთან ახლოს მდებარე ბანკები დააყაჩაღა დღის 3:20-დან 3:45 საათამდე. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ყოველ ბანკში ქალი მოლარეს ბარათს აწვდიდა, სადაც ეწერა, რომ ფული უნდოდა და თან იარაღი ჰქონდა. რასაკვირველია, მოლარე არ დაიწყებდა შემოწმებას, მართლა ჰქონდა თუ არა მძარცველს პისტოლეტი, უხმაუროდ აძლევდა ფულს, რათა ვითარება არ გაერთულებინა. ძარცვის უმრავლესობა ამგვარად ხდება, — ამბობენ პოლიციელები, რომელთაც კარაბეო მალევე, 4 საათისთვის, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ახლოს დააკავეს და სამი ძარცვისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცემენ.

დილით მუშაობისთვის მენაგვე დააპატიმრეს

აშშ-ში, ქალაქ სანდი-სპრინგსში, 30-დღიანი პატიმრობა შეუფარდეს დასუფთავების სამსახურის მუშაკს იმისთვის, რომ მან სამუშაო დღე ძალიან ადრე დაიწყო და ასე ქალაქში მოქმედი კანონი დაარღვია. ადგილობრივი მედიის ცნობით, სანიტარულ-ჰიგიენური სამსახურის წარმომადგენელმა კევინ მაკგილმა სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო მუშაობა, მაგრამ ამის გამო უკვე ციხეში ამოყო თავი. აღმოჩნდა, რომ მენაგვე მუნიციპალური ორგანოს მიერ დადგენილ კანონს არღვევდა, რომლის მიხედვითაც, დილის 7 საათზე ადრე და საღამოს 7 საათზე გვიან აკრძალულია ნაგვის გატანა. ხელისფლებაში აცხადებენ, რომ ასეთი წესი მოქალაქეების გამუდმებული საჩივრების გამო მიიღეს, რომლებიც მენაგვეების ადრიან და ხმაურიან მუშაობასზე ჩიოდნენ. მაკგილმა ამ დარღვევისთვის მაქსიმალური სასჯელი — 30-დღიანი პატიმრობა მიიღო. მოსამართლის განცხადებით, ასეთ შემხთვევებში მხოლოდ ჯარიმა არ ამართლებს და ციხეც აუცილებელია. მისივე თქმით, ქალაქის მოსახლეობა მაშინვე რეკავს პოლიციაში, თუკი რომელიმე დღეს ნაგვის გატანა ძალიან ადრე დაიწყეს.

ნარკოტიკი კარგი საქციელისთვის

როგორ აიძულოთ ურჩი ბავშვები, გააკეთონ ის, რაც გინდათ? ამაზე უჩვეულო პასუხი აქვს ერთ ამერიკულ ოჯახს — კარგი საქციელისთვის კოკაინითა და მარიხუანათი დააჯილდოვეთ. ქალაქ სენტ-პიტერსბერგის ორი მკვიდრი — ცოლ-ქმარი, 38 წლის ჩად მადი და 34 წლის ჯოი მადი სამართალდამცავებმა დააკავეს. პოლიციელთა განცხადებით, ისინი შვილებს — 14 და 13 წლის გოგონებს ნარკოტიკს აძლევდნენ იმის სანაცვლოდ, რომ ისინი სკოლაში დადიოდნენ და სახლის საქმესაც აკეთებდნენ. დაკითხვაზე დედამ აღიარა, რომ შვილებთან ერთად რამდენჯერმე მოწია მარიხუანა, მამა კი კოკაინს მოიხმარდა გოგონებთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ბავშვების მამა ერთ-ერთ ბარში მუშაობს, დედა კი,. რაც უნდა გასაკვირი იყოს, პედიატრია. მშობლები ცოტა ხნის წინ გირაოთი გაათავისუფლეს, თუმცა მალე სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

3	2	1	7	8	9	6	5	4
9	8	5	6	4	3	2	1	7
7	6	4	2	1	5	3	9	8
1	7	3	8	9	6	5	4	2
2	4	6	5	3	7	9	8	1
5	9	8	1	2	4	7	6	3
8	5	9	4	7	2	1	3	6
4	3	2	9	6	1	8	7	5
6	1	7	3	5	8	4	2	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	4	6	3	9	7	1	8	2
3	2	1	6	8	5	9	4	7
9	8	7	4	2	1	3	6	5
4	6	5	7	3	9	2	1	8
2	1	3	5	6	8	7	9	4
7	9	8	1	4	2	6	5	3
1	5	9	2	7	4	8	3	6
8	3	2	9	5	6	4	7	1
6	7	4	8	1	3	5	2	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	2	5	9	1	8	7	6	3
8	9	3	6	7	5	4	2	1
1	7	6	4	3	2	9	5	8
7	8	2	5	9	3	1	4	6
3	6	1	8	4	7	2	9	5
9	5	4	2	6	1	3	8	7
6	1	9	3	8	4	5	7	2
5	4	7	1	2	6	8	3	9
2	3	8	7	5	9	6	1	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	4	5	7	2	1	9	8	6
9	8	7	6	5	4	3	1	2
6	1	2	9	3	8	4	7	5
2	5	4	8	1	7	6	3	9
1	3	9	4	6	2	8	5	7
8	7	6	3	9	5	2	4	1
7	6	1	2	4	3	5	9	8
5	9	3	1	8	6	7	2	4
4	2	8	5	7	9	1	6	3

მე-10 გვერდი: 1. ექსპორტი; 2. ქედა; 3. პიკული; 4. რერიხი; 5. სტარტერი; 6. ტაპირი; 7. რონდელი; 8. ელეგია; 9. ასაკი; 10. იდალგო; 11. ილიადი; 12. ბარაკუდა; 13. სპანიელი; 14. დურემარი; 15. ბისერი; 16. ელი; 17. სადილი; 18. რახილი; 19. რობაი; 20. არდებილი; 21. ალოე; 22. კალგარი; 23. გერუსია; 24. რიონი; 25. ჩალმა; 26. აბრაზია; 27. იულია; 28. დალანდი; 29. ყირიმი; 30. ლეიკოზი; 31. ჩოგორი; 32. სირ; 33. გედია; 34. ირისი; 35. გუი; 36. ურა; 37. ბაია; 38. ემბარგო; 39. კლდე; 40. გორიო; 41. აია; 42. იორკი; 43. მარაო; 44. გინეა; 45. ინი; 46. ნირო; 47. რაი; 48. ზერო; 49. ინგა; 50. ბელი; 51. ფსი; 52. დიეზი; 53. ინია; 54. ენისეი; 55. ნოე; 56. კაკაო; 57. კოდაი; 58. ნეი; 59. სინდიყი; 60. ნო; 61. ავი; 62. ენიო; 63. იასნაია; 64. აბიო.

მე-12 გვერდი: 1. პლაზმა; 2. ლივერი; 3. ზენიტი; 4. ორესტე; 5. რური; 6. სოსელო; 7. სვინგი; 8. ესტუარი; 9. კატერი; 10. პროსტი; 11. ოქციდენტალი; 12. სოლო; 13. ალბომი; 14. ოკრიბა; 15. ეკიუ; 16. ლიისი; 17. ფალაური; 18. ვალჟანი; 19. ლოქო; 20. ალჩუ; 21. ესქილე; 22. ავი; 23. იერიში; 24. კრაკოვიაკი; 25. ბლუ; 26. კახაბერ ცხადაძე; 27. მადლი; 28. დროზერა; 29. ანტალია; 30. გნუ; 31. „ლორეალი“; 32. ხომლი; 33. ბის; 34. იდეა; 35. დუჩე; 36. ალუბალი; 37. აგა; 38. აბაჟური; 39. ნუნცი; 40. რიტორი; 41. ზარანდია; 42. გუშინ; 43. ბარი; 44. ბაიტი; 45. ბემბი; 46. ისარი; 47. ამიმია; 48. რეტინა; 49. ოპრიჩნინა; 50. იკაო; 51. ინკები; 52. რაეო; 53. სერფინგი; 54. გრიგალი; 55. სეული; 56. რტო; 57. ცხრა; 58. ტაიმი; 59. ტორი; 60. ავანგი; 61. რაკია; 62. ხეფრენი; 63. არბიტრი; 64. სკოტი; 65. ავგია; 66. ბამაკო; 67. იდები; 68. სიკოკუ; 69. ინა; 70. ლოა; 71. მოივა; 72. სვია; 73. ტუ; 74. დინო; 75. ვირა; 76. დოსიე; 77. ეფა; 78. ძვირი; 79. ონა; 80. ანოა; 81. ფინტი; 82. რეი; 83. ივო; 84. რუ.

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ტაბახმელაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაგახტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, გულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების 60 ეკიპაჟი ემსახურება.

21-ე შვილი გააჩინა

ბრაზილიელმა ქალბატონმა, 51 წლის ასაკში 21-ე შვილი გააჩინა. ქალაქ არაკაჟუს მცხოვრები სებასტიანა მარია დე კონსეისაო ბიჭის დედა გახდა. პირველი შვილი მას 13 წლისას გაუჩნდა და როგორც აცხადებს, 21-ეზე გაჩერებას არ აპირებს. მედიკოსები შიშობდნენ, რომ მშობიარობა გართულებული იქნებოდა, რადგან ორსულს მაღალი წნევა აღენიშნებოდა, თუმცა საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა — ბავშვიც სრულიად ჯანმრთელი დაიბადა. ბიჭს ტასიო დაარქვეს იმ ფოტორეპორტიორის პატივსაცემად, რომელიც მშობიარობას ესწრებოდა. მარიამ 10 გოგონა და 11 ვაჟი გააჩინა, თუმცა ახლა მხოლოდ 18 შვილის დედაა, რადგან სამი ბავშვი დაეღუპა. 51 წლის ასაკში დედობა, მერწმუნეთ, წარმოუდგენელი ბედნიერებაა, — აცხადებს დე კონსეისაო.

პოლიტიკოსი დუბლიორს ეძებს

მექსიკელმა პოლიტიკოსმა რენატო გომესმა სოციალურ ქსელში კამპანია წამოიწყო, დატვირთული სამუშაო დღის შესამსუბუქებლად — ის Facebook-ზე კონკურსს ატარებს საკუთარი ორეულის შესარჩევად, რომელმაც პოლიტიკოსი სხვადასხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე უნდა ჩაანაცვლოს. გომესი გამარჯვებულს პრიზად 40 ათას პესოს (დაახლოებით 2700 დოლარს) და მასობირი ინფორმაციის საშუალებების ყურადღებას პირდება, რასაც აუცილებლად მოუტანს სამუშაო. ჯერჯერობით შესარჩევი კონკურსი მხოლოდ ოთხმა ადამიანმა გადალახა. რენატო გომესი დამოუკიდებელი დეპუტატია ვერაკრუსის შტატიდან. ის აპირებს, ორეულს საგულდაგულოდ შეასწავლოს თავისი მანერები, რათა სიტყვით გამოსვლისას ან ქცევებისას განსხვავება ვერავინ შენიშნოს. ასევე დუბლიორს გადააბარებს ბევრი ვალდებულების შესრულებასაც. ორეული ხელფასს მიიღებს, როგორც დეპუტატის თანაშემწე. ზოგიერთი მოვალეობა კი, მაგალითად, დროს გატარება გომესის ოჯახთან, მის კომპეტენციაში არ იქნება. ვერ დაესწრება პარლამენტის სხდომებსაც, რადგან იქ ხმის მიცემა თითი ანაბეჭდების მეშვეობით ხდება. დეპუტატი დუბლიორის აყვანის სურვილს იმით ამართლებს, რომ სურს, ორმაგი ძალით ემსახუროს ამომრჩეველს.

გენეტიკური მუტაცია მეხსიერებას აუმჯობესებს

კანადელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს გენეტიკური მუტაცია, რომელიც მეხსიერების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. მკვლევართა აზრით, ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს ახალი პრეპარატების შექმნას, რომელიც ალცჰეიმერისა და სხვა ნეიროდეგენერაციული დაავადებების მკურნალობას გააადვილებს.თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას მონრეალის უნივერსიტეტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მღრღნელები, რომელთაც eIF2a-გენის (ის პროტეინის სინთეზის კოდირებას ახდენს) დეფექტური ვერსია ჰქონდათ, უკეთ ასრულებდნენ დავალებებს. კერძოდ, აუზში გაშვებული მუტანტი-თაგვები ადვილად პოულობდნენ წყალქვეშ მცირე პლატფორმას და ფეხზე დგებოდნენ. მკვლევარების თქმით, მუტანტი გენის მქონე მღრღნელები თანამოძმეებისაგან ისევე გამოირჩეოდნენ, როგორც ის პიროვნება, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებით, ერთი ნაკითხვით შეუძლია ტექსტის დაზეპირება. იმის დასამტკიცებლად, რომ თაგვების უჩვეულო უნარი სწორედ მუტაციურ გენს — eIF2a-ს უკავშირდება, მეცნიერებმა ცხოველების ორგანიზმში ხელოვნურად გაზარდეს ამ პროტეინის დონე, რის შემდეგაც მათ აშკარად გამოუვლინდათ მეხსიერების დარღვევის ნიშნები. კანადელი სწავლულების მოსაზრებით, პრეპარატებმა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში ცილა eIF2a-ს ბლოკირებას გამოიწვევს, შესაძლოა დიდი დახმარება გაუწიონ ავადმყოფებს, რომლებიც მეხსიერების დაკარგვით იტანჯებიან.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.